გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№37 (1727) 6 — 12 ნოემბერი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა გზა გაიარა მაია სანდუმ პრეზიდენტის მეორე ვადით დაკავებამდე

ბინძური ფული, ამომრჩევლის მოსყიდვა და კრიმინალური ჯგუფები – რა არის ცნობილი პრორუს ალექსანდრ სტოიანოგლოზე

რას წვალობს ოპოზიცია

„ორშაბათის" კომიკური ქრონიკები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რა უჯდება ქვეყნის ბიუჯეტს საპარლამენტო არჩევნები

171 219 000 ლარი – საარჩევნო ადმინისტრაციისთვის

რა დაუჯდათ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანია

„ოცნებას" – 14 მილიონი ლარი, გვარამია-მელიას – 4 მილიონ ნახევარი, „ნაციონალურ მოძრაობას" – 2 მილიონ ლარამდე, „ლელოს" – 4 მილიონ ლარამდე, გახარიას – 161 810 ლარი...

სამეგრელოს პოლიციამ მესტიაში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული კ.დ. დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, მესტიის მუნიციპალიტეტში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, თანასოფლელი – 1963 წელს დაბადებული თ.დ. ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად, თ.დ. ადგილზე გარდაიცვალა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ხელმძღვანელთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ხელმძღვანელთან, ჯუნჯი ვაკუისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, თემურ მღებრიშვილი.

ალექსანდრე დარახველიძემ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ხელმძღვანელს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

მხარეებმა საქართველოსა და იაპონიას შორის არსებულ მჭიდრო და ნაყოფიერ ურთიერთობებზე ისაუბრეს და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების საკითხი განიხილეს.

შეხვედრის ფარგლებში, ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ხელმძღვანელს სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ამ მიმართულებით მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხარდაჭერასა და იაპონიის მხარის მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე, რომლის ფარგლებში, სამინისტროს არაერთი წარმომადგენელი გადამზადდა კატასტროფების რისკების შემცირებისა და კიბერდანაშაულის პრევენციის მიმართულებით.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ არსებული წარმატებული თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის 60 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში, სხვადასხვა ქვეყნის 60 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევეს. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, იძულების წესით იქნა ქვეყნიდან გაძევებული.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ქვეყნიდან გაძევებულ იქნა: თურქეთის, აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, ინდოეთის, თურქმენეთის, ბანგლადეშის, ლიბანის, ერაყის, ნიგერიის, იორდანიის, ალჟირის, ეგვიპტისა და განას, ჯამში, 60 მოქალაქე. გაძევებულთა შორის ასევე არიან პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სახის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციის დეპარტამენტსა და სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს შორის აქტიური კოორდინაციის შედეგად, 2024 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 384 უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რაც 26%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. გაზრდილია იმ პირთა მაჩვენებელიც, რომლებმაც გაძევების პროცედურის ფარგლებში, ქვეყანა ნებაყოფლობით დატოვეს, კერძოდ, საქართველო დატოვა 323 პირმა, რაც 60.7 %-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოების კუთხით. იგეგმება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც დამატებით გაზრდის დეპარტამენტის შესაძლებლობებს უზრუნველყოს კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა ქვეყნიდან გაძევების ეფექტიანი პროცედურები.

პოლიციამ სადახლოს საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი: 1984 წელს დაბადებული რ.ი. და 1990 წელს დაბადებული ე.ი. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობისას, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს №69-ე საარჩევნო უბანზე, კანონმდებლობის დარღვევით ყუთში საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეს.

აღნიშნული ფაქტის გამო, მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, №69-ე საარჩევნო უბანზე შეწყდა კენჭისყრა და კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა რ.ი. და ე.ი. ბრალდებულის სახით დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე ტერცია მუხლით მიმდინარეობს, რაც არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალებისა და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბებას გულისხმობს.

რას წვალობს ოპოზიცია

ნინო დოლიძე

აი, ასე: არჩევნები დამთავრდა და, როგორც ბოლო წლებში ხდება ხოლმე, ოპოზიცია ახლაც ამტკიცებს, გაყალბდაო. უფრო მეტიც, ოთხივე მსხვილი ოპოპარტია, რომელმაც ბარიერი გადალახა, გაიძახის, გაყალბება სისტემური იყოო და არჩევნების შედეგების გაბათილებას, უფრო კონკრეტულად, ხელახალი არჩევნების დანიშვნას ითხოვს. ამ ეტაპზე საქმეები სასამართლოშია და შესაბამისად, სანამ ცესკო საბოლოო შემაჯამებელ ოქმს დაწერს, დროა საკმარისი. ოპოზიციის ერთ ფრთას იმედი აქვს, რომ მიზანს მიაღწევს და ახალი არჩევნები დაინიშნება, თუმცა საზოგადოების ის ფრთაც კი, რომელიც ხელისუფლების ამომრჩეველი არ არის, ოპოზიციის უნიათობაზე უკვე ღიად საუბრობს.

„ორშაბათის“ კომიკური ქრონიკები

ზოგადად, ბოლო 30 წლის განმავლობაში რა აღარ გვინახავს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოვესწარით სამოქალაქო ომს და ასევე, ე.წ. ვარდების რევოლუციას, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან, მშვიდობიან სახელისუფლებო გადატრიალებას უფრო ჰგავდა. მაშინაც ვიღაცები ამას ხვდებოდნენ, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ოპოზიცია უნიათო იყო ანუ დღემდე ყველა ოპოზიციური ძალა, რომელსაც მოვსწრებივართ, თანმიმდევრულად მოქმედებდა. დღეს კი რა ხდება? ხდება ის, რომ ოპოზიცია ხალხს ეუბნება, აი, დღეს საღამოს გეტყვით, მოქმედების რა გეგმა გვაქვსო. მოდის საღამო, მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო ტელეეკრანთან ჯდება და სულგანაბული ელოდება, რას იტყვის ოპოზიცია.

გამოდის ანა დოლიძე და ამბობს, ორშაბათს, პარლამენტის წინ მოდით და იქ გეტყვით, რას ვაპირებთო.

ზოგადად, ქართველებს ეს ორშაბათი ძალიან გვიყვარს – დიეტას ორშაბათიდან ვიწყებთ, ახალი სამსახურის ძებნასა თუ სხვა საქმეების გაკეთებასაც ორშაბათის იმედად ვდებთ. ჰოდა, ოპოზიციაც ამ ნარატივს გაჰყვა და ჰოი, საოცრებავ – ორშაბათს, ესე იგი, 4 ნოემბერს, პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს ლიდერებმა სადღეგრძელოები მოასმენინა და ბოლოს უთხრა, ახლა წავიდეთ, ბარათაშვილის ხიდი გადავკეტოთ და არც ის დავივიწყოთ, რომ ყოველ ორშაბათს, პარლამენტის წინ მოვიდეთ და ტრადიციული ორშაბათობები მოვაწყოთო.

ერთი სიტყვით, დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ოპოზიცია მხოლოდ ბაქი-ბუქობს, ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა და ამას ვიზამ, იმას ვიზამო, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ვერაფერსაც ვერ შვრება.

ყველაფერი ეს კი იმის ასოციაციას იწვევს, რომ „ოცნებასთან“ მებრძოლებმა ფარ-ხმალი დაყარეს, უფრო სწორად, ხალხისთვის სათქმელი არაფერი აქვთ და ამიტომაც „მიაც-მააცვავენ“.

„ოპოზიციამ თვითონ ჩაიგდო თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ასეთი ამოცანა აქვთ: არჩევნები, რომელიც ნამდვილად სამართლიანი და თავისუფალი იყო და ეს საზოგადოებამ თავად ნახა, ასეთ არჩევნებზე თქვან, რომ რაღაცნაირად არის გაყალბებული. ამ წვალებაში, რომ რაღაცა მტკიცებულებები მოიძიონ, უამრავ რამეს მიედ-მოედებიან და, საბოლოოდ, არიან ძალიან მძიმე, სასაცილო მდგომარეობაში“, – მიიჩნევს „ქართული ოცნების“ წევრი გიორგი კახიანი.

მისივე თქმით, ოპოზიციის მიზანია არა არჩევნების გაყალბების მტკიცებულებების მოპოვება, არამედ საზოგადოებაში ასეთი აღქმის შექმნა.

„ჩვენ ჯერ კიდევ არჩევნებამდე ვაფასებდით და ვპროგნოზირებდით იმას, თუ რა მოხდებოდა და როგორ განვითარდებოდა ეს პროცესები. ვამბობდით, რომ ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არ ემზადება, არამედ არჩევნების შემდგომი პროცესებისთვის, რადგან წინასაარჩევნოდ მათი აქტიურობა თუ რაოდენ დაბალი იყო, საზოგადოებამ კარგად ნახა – არც შეხვედრები ჰქონიათ და, ძირითადად, სულ სხვა თემებით იყვნენ დაკავებულები.

მაშინაც ვამბობდით, როდესაც ოპოზიცია დარწმუნდება იმაში, რომ ისინი დამარცხდებიან ამ არჩევნებში, შემდგომ დაიწყებენ იმაზე საუბარს, რომ არჩევნები გაყალბდა და [განვითარდება] ის სცენარი, რომელიც უკვე ნანახი გვაქვს. ოპოზიციამ თვითონ ჩაიგდო თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ასეთი ამოცანა აქვთ: არჩევნები, რომელიც ნამდვილად სამართლიანი და თავისუფალი იყო და ეს საზოგადოებამ თავად ნახა, ასეთ არჩევნებზე თქვან, რომ რაღაცნაირად არის გაყალბებული. ამ წვალებაში, რომ რაღაცა მტკიცებულებები მოიძიონ, უამრავ რამეს მიედ-მოედებიან და, საბოლოოდ, არიან ძალიან მძიმე, სასაცილო მდგომარეობაში.

დაახლოებით, ანალოგიური თანმიმდევრობით, განვითარდება ეს პროცესი, როგორც 4 წლის წინ იყო. დღეს, ფაქტობრივად, ყველა დარწმუნებულია და თვითონაც იციან, რომ ეს არჩევნები მართლაც ლეგიტიმურია და არც არანაირად არ გაყალბებულა და იმიტომაც არის, რომ ხან რას იტყვიან და ხან რას. ამ ყველაფრის მიზანი ის კი არ არის, რომ მტკიცებულებები დადონ, რომ თითქოს არჩევნები გაყალბდა, – ასეთი მტკიცებულებები ბუნებაში არ არსებობს, როგორ შეიძლება საქართველოში 350 000 ხმა ყალბდებოდეს, წარმოუდგენელია, – ამის მიზანია ის, რომ საზოგადოებაში შექმნან ასეთი აღქმა“, – აცხადებს კახიანი.

ახლა, არჩევნების გაყალბება ისეთი ბრალდებაა, რომელსაც სერიოზული მტკიცებულებები სჭირდება. წარმოადგენს თუ არა ოპოზიცია ამ მტკიცებულებებს, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი ვითარება ზუსტად ისეთია, ქართული ანდაზა რომ ამბობს, ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდისო...

რა უჯდება ქვეყნის ბიუჯეტს საპარლამენტო არჩევნები



171 219 000 ლარი – საარჩევნო ადმინისტრაციისთვის

მაკა რუხაძე

სინამდვილეში, ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხი 2025 წლის იანვარ-თებერვალში გვეცოდინება, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია – ცესკო 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ანგარიშს მოამზადებს. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტში არჩევნებისთვის გამოყოფილი თანხისა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ანგარიშის მიხედვით, მეტ-ნაკლებად ობიექტურ სურათს მივიღებთ.

2024 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ბიუჯეტი 171 219 000 ლარით განისაზღვრა. აქედან, არჩევნების ჩატარების ღონისძიებებზე 126 500 000 ლარი გამოჰყვეს, საიდანაც 54 000 000 ლარი – კომპანია Smartmatic-თან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, ხმის მიცემის ელექტრონული აპარატების შესყიდვაზე დაიხარჯა, ხოლო ხელფასებისთვის – 42 700 000 ლარი გამოიყო.

მართალია, დაზუსტებული მონაცემები ორ-სამ თვეში გვეცოდინება, მაგრამ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლევანდელი არჩევნები, ხმის მიცემის ელექტრონული სისტემის გამო, ყველაზე ძვირადღირებულია. მაგალითად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის ბიუჯეტს 77 500 000 ლარი დაუჯდა, საიდანაც არჩევნების ჩატარების ღონისძიებებზე – 50 500 000 ლარი დაიხარჯა. ვინაიდან ცესკო-ს ვებ-გვერდზე, არჩევნების ბიუჯეტის სრულყოფილი ინფორმაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ეხება, „ვერსია“ ამ ანგარიშის ფინანსური ნაწილის მიმოხილვას გთავაზობთ.

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები

ზუსტად ოთხი წლის წინ, 2020 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს მოქალაქეებმა მომდევნო ოთხი წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის 150 წევრი, მათ შორის, 120 წევრი – პროპორციული საარჩევნო სისტემით და 30 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, სადაც I ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ნამდვილ ხმათა 50%-ზე მეტი.

„პარლამენტის არჩევნებისთვის სულ შეიქმნა 3 852 საარჩევნო უბანი, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე – 3 795, ხოლო საზღვარგარეთ 39 სახელმწიფოში – 57 საარჩევნო უბანი. მოგვიანებით აზერბაიჯანში გაუქმდა სამივე საარჩევნო უბანი, ხოლო საბერძნეთში – ორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არჩევნები გაიმართა 3 847 საარჩევნო უბანზე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ 3 795, ხოლო საზღვარგარეთ 38 სახელმწიფოში – 52 საარჩევნო უბანზე. 3 852 საარჩევნო უბანზე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა შეადგენდა 45 908-ს, მათ შორის, 33 748 (73.51%) – ქალი და 12 160 (26.49%) – კაცი“, – ვკითხულობთ ცესკო-ს ანგარიშში.

2020 წელს, მსოფლიო კოვიდპანდემიამ მოიცვა. ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) კორონავირუსი ჯერ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო საფრთხედ გამოაცხადა, მოგვიანებით – პანდემიად. პანდემიის გამო, ჩაიკეტა ქვყნების საზღვრები, შეწყდა საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა...

სწორედ პანდემიიდან გამომდინარე, ცესკო-მ დაამტკიცა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი, რომელიც შემუშავებული იყო პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. პროტოკოლით განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და კენჭისყრის შენობებში შესვლის/გამოსვლის, ყოფნის/გადაადგილებისას სავალდებულო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

„ცესკო-მ და სწავლების ცენტრმა, პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის სრული დაცვით, განახორციელეს საარჩევნო სამოქალაქო განათლების ოთხი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 512-მა პირმა, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის, ჯამში – 6 416 მონაწილე; საარჩევნო განვითარების სკოლა ახალგაზრდებისთვის – 578 მონაწილე; საარჩევნო სამართალი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის – 370 მონაწილე); ახალგაზრდული საარჩევნო ბანაკები – 148 მონაწილე“.

ცესკო-მ და სწავლების ცენტრმა დისტანციურად განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამები საარჩევნო სუბიექტების, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, მედია-საშუალებების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისა და პოტენციური კანდიდატი ქალებისთვის.

არჩევნების ბიუჯეტი

პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკო-მ 2020 წლის 10 იანვრის №1/2020 დადგენილებით დაამტკიცა საარჩევნო ბიუჯეტი, ხოლო არჩევნების II ტურის ბიუჯეტი დამტკიცდა ცესკო-ს 2020 წლის 13 ნოემბრის №51/2020 დადგენილებით. არჩევნების ორივე ტურის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა – 51 220 074 ლარი. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან II ტურის ნაწილობრივ დასაფინანსებლად გამოყოფილ იქნა 7 066 310 ლარი. საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება ცესკო-ს 2020 წლის 24 აგვისტოს №19/2020 დადგენილებით განისაზღვრა არჩევნების I ტურისთვის, ხოლო 2020 წლის 13 ნოემბრის №52/2020 დადგენილებით განისაზღვრა საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება არჩევნების II ტურისთვის. აღნიშნული დადგენილებებით, საოლქო საარჩევნო კომისიებს გამოეყოთ თანხები არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად.

„ამ ხარჯების დასაფინანსებლად, საოლქო საარჩევნო კომისიებს სულ I და II ტურისთვის გადაერიცხათ 3 896 264 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა აუთვისებელი ნაშთები 316 016 ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 3 580 248 ლარი. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება საუბნო სა-

დასასრული მე-5 გვერდზე

რა უჯდება ქვეყნის ბიუჯეტს საპარლამენტო არჩევნები

მე-3 გვერდიდან

არჩევნო კომისიების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად არჩევნების I და II ტურისთვის მიიმართა 13 933 390 ლარი".

საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 43-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, არჩევნების ორივე ტურზე დაფინანსდა 17 კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, საერთო თანხით 6 626 803 ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 56-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად, შვიდ საარჩევნო სუბიექტს გამოეყო 1 894 295 ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 56-ე მუხლის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ასანაზღაურებლად დაფინანსდა ერთი საარჩევნო სუბიექტი, საერთო თანხით – 1 000 000 ლარი, რომელიც დაფინანსდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

პარლამენტის არჩევნების I და II ტურისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 50 148 600 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა

პარლამენტის არჩევნების მატერიალური რესურსებით უზრუნველსაყოფად, ამომრჩეველთა განახლებული რაოდენობისა და არსებული მარაგების გათვალისწინებით, განისაზღვრა არჩევნების ჩასატარებლად შესაძენი საქონელი ან მომსახურება და რაოდენობა-მოცულობა. ცენტრალიზებულად განაწილდა არჩევნებისთვის საჭირო ინვენტარი საოლქო საარჩევნო კომისიებზე. საარჩევნო პერიოდში სულ გაფორმდა 508 ხელშეკრულება, მათ შორის, ელექტრონული ტენდერების მეშვეობით განხორციელდა 165 (33%) შესყიდვა, 40 (7%) გამარტივებული შესყიდვა, 243 (48%) გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სარეზერვო ფონდის ფარგლებში, გაფორმდა 60 ხელშეკრულება (12%).

„შესყიდულ იქნა შემდეგი საარჩევნო ინვენტარი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უნიფორმები – 88 785 ლარი, ბეიჯები დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის – 183 384 ლარი, ბიულეტენის კონვერტები – 340 100 ლარი, კარტრიჯები საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის – 117 050 ლარი, მარკირების სითხე – 112 200 ლარი, ქაღალდი A4 – 191 215 ლარი, ოფსეტური ქაღალდი ბიულეტენებისთვის – 162 780 ლარი, ბურთულიანი კალმები ამომრჩევლებისთვის – 661 000 ლარი".

ცესკო-ს ანგარიშის ფინანსური ნაწილის ბოლოს აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, უარი ითქვა დაგეგმილი ზოგიერთი პროექტის განხორციელებაზე და რესურსები მიიმართა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.



რა დაუჯდათ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანია

მაკა რუხაძე

„ოცნებას“ – 14 მილიონი ლარი, გვარამია-მელიას – 4 მილიონ ნახევარი, „ნაციონალურ მოძრაობას“ – 2 მილიონ ლარამდე, „ლელოს“ – 4 მილიონ ლარამდე, გახარიას – 161 810 ლარი...

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ხმების 53.93%-ით ლიდერობს, ხოლო ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს, საერთო ჯამში, ხმების 37.79% მოიპოვეს. ვიდრე „ქართული ოცნება“ გამარჯვებას ზეიმობს, ოპოზიცია კი არჩევნების ლეგიტიმურობას უარყოფს, „ვერსიამ“ გაარკვია, რა დაუჯდათ პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანია.

2023 წლის სექტემბრამდე, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემადგენლობაში შედიოდა. შარშან კი ეს დეპარტამენტი ანტიკორუფციული ბიუროს შემადგენლობაში გადავიდა, ამიტომ საარჩევნო ხარჯებთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაცია საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის საიტზე მოვიპოვეთ. გთავაზობთ, 5%-იანი ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტიების ხარჯებს.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“

წინასაარჩევნო ხარჯების მიმოხილვა მმართველი პარტიით დავიწყოთ. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სრული ინფორმაცია წინასაარჩევნო ხარჯებთან დაკავშირებით, პოლიტიკურ პარტიებს ჯერ არ წარუდგენიათ, ყოველ შემთხვევაში, ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული არ არის. ხარჯების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, ეხება 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე ხარჯებს.

ოფიციალური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ „ქართული ოცნების“ ფაქტობრივი შემოსავალი 1 830 485 ლარი იყო. 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე, მმართველ პარტიას ფიზიკურმა პირებმა 1 402 150 ლარი შესწირეს, ხოლო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება – 428 335 ლარია.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის ფონდის ხარჯებს, ირკვევა, რომ მმართველი პარტიის ფაქტობრივი ხარჯი 14 263 789 ლარია, აქედან შრომის ანაზღაურებაზე 391 255 ლარი, ხოლო ხელფასებზე – 131 255 ლარი გაიცა. ოფისის ხარჯებზე 162 220 ლარი დაიხარჯა, ტანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციაზე – 3 678 ლარი, საწვავსა და საპოხ მასალებზე – 2 893 ლარი.

წინასაარჩევნო პერიოდში, 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე, მმართველმა პარტიამ რეკლამაზე 11 592 404 ლარი დახარჯა, აქედან სატელევიზიო რეკლამაზე – 5 764 826 ლარი, ბეჭდურ რეკლამაზე – 280 7926 ლარი, ინტერნეტ-რეკლამაზე – 315 735 ლარი. რაც შეეხება გარე რეკლამას, „ქართულმა ოცნებამ“ 3 832 164 ლარი დახარჯა, სხვა სარეკლამო ხარჯებზე კი 1 398 887 ლარი დაიხარჯა.

პირებისათვის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების გადაცემაზე, მათ შორის, მცირე ღირებულების აქსესუარებზე – კეპებზე, მაისურებზე, ქუდებსა და დროშებზე, მმართველმა პარტიამ 24 000 ლარი დახარჯა.

„კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია, გირჩი, დროა“

ოფიციალური ინფორმაციით, 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში, ნიკა გვარამიას კოალიცია ცვლილებისთვის ფაქტობრივი შემოსავალი 3 942 848 ლარი იყო, ხოლო შემოსავლები ფულადი სახით – 3 913 543 ლარი. ფიზიკური და იურიდიული პირებისგან პარტიამ – 3 893 543 ლარი, ხოლო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების სახით – 20 000 ლარი მიიღო.

საარჩევნო კამპანიის ფონდის ხარჯების თანახმად, 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში, პარტიამ 4 445 897 ლარი დახარჯა, საიდანაც შრომის ანაზღაურებასა და ხელფასებზე – 22 168 ლარი გამოყო. საქონელი და მომსახურების მუხლში მითითებულია – 4 333 103 ლარი.

ირკვევა, რომ პარტიამ ქვეყნის შიგნით და გარეთ მივლინებებზე თანაბრად – 1 144 ლარი დახარჯა, ოფისის ხარჯებზე – 3 211 ლარი.

რაც შეეხება სარეკლამო ხარჯებს, პარტიამ 2 369 784 ლარი დახარჯა, საიდანაც სატელევიზიო რეკლამაზე – 1 690 460 ლარი, ბეჭდურ რეკლამაზე – 55 640 ლარი, ინტერნეტ-რეკლამაზე – 381 254 ლარი, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამაზე – 28 910 ლარი, გარე რეკლამაზე – 8 026 ლარი, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებზე – 205 493 ლარი დახარჯა.

ოფიციალური დოკუმენტიდან ვარკვევთ, რომ გვარამია-მელიას და ხოშტარია-ჯაფარიძის „კოალიციამ ცვლილებებისთვის“ სესიების, ყრილობების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრებისთვის 359 651 ლარი დახარჯა. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში კი 1 333 828 ლარი მიუთითა.

„ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა“

8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში, „ერთიანობა – ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფაქტობრივი შემოსავლების სახით – 1 945 663 ლარი, ხოლო ფულადი სახით – 1 897 372 ლარი მიიღო. ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობები – 1 714 070 ლარი იყო, ხოლო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსება – 183 302 ლარი და 91 თეთრი.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის ფონდის ხარჯებს, „ნაციონალური მოძრაობის ფაქტობრივი ხარჯი 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე შუალედში 1 879 799 ლარი იყო. შრომის ანაზღაურებასა და ხელფასებზე პარტიამ 97 714 ლარი დახარჯა, საქონელი და მომსახურების მუხლში კი 1 770 191 ლარი მიუთითა.

ოფისის ხარჯებზე 29 463 ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციაზე – 5 048 ლარი, საწვავსა და საპოხ მასალებზე – 5 048 ლარი დაიხარჯა.

რეკლამის ხარჯებში „ერთიანობა – ნაციონალურმა მოძრაობამ“ 1 543 329 ლარი მიუთითა, სატელევიზიო რეკლამის ხარჯებზე – 1 315 238 ლარი, ინტერნეტ-რეკლამაზე – 86 324 ლარი, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამაზე – 2 750 ლარი, გარე რეკლამაზე – 65 663 ლარი, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებზე – 73 355 ლარი დაიხარჯა.

სესიებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, სემინარებსა და სხვა სამუშაო შეხვედრებზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 44 790 ლარი დახარჯა.

8-დან 26 ოქტომბრამდე, პარტიის საიჯარო ქირის ხარჯი 125 292 ლარი იყო, აქედან უძრავი ქონების იჯარის ხარჯი – 124 292 ლარი, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯი – 1 000 ლარი იყო.

„ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“

ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის მიხედვით, ყოფილი ბანკირების კოალიციის ფაქტობრივი შემოსავლები 8-დან 2 ოქტომბრამდე 2 962 549 ლარი იყო, ხოლო შემოსავლები ფულადი სახით – 2 962 548 ლარი.

ამავე პერიოდში, მამუკა ხაზარაძის კოალიციის ფაქტობრივი ხარჯი – 4 295 761 ლარია. საქონელი და მომსახურების მუხლში, პარტიამ – 4 288 965 ლარი მიუთითა.

რაც შეეხება სარეკლამო ხარჯებს, 8-დან 26 ოქტომბრამდე შუალედში, კოალიციამ „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ – 3 984 297 ლარი დახარჯა, სატელევიზიო რეკლამაზე – 1 816 589 ლარი, ბეჭდურ რეკლამაზე – 16 460 ლარი, ინტერნეტ-რეკლამაზე – 458 792 ლარი, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამაზე – 1 250 ლარი, გარე რეკლამაზე – 502 919 ლარი, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებზე – 1 188 284 ლარი დაიხარჯა.

სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრებისთვის, მამუკა ხაზარაძის კოალიციამ 132 388 ლარი დახარჯა. პარტიის საიჯარო ქირის ხარჯი – 10 325 ლარი იყო.

„გახარია საქართველოსთვის“

ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ექსპრემიერ-მინისტრის პარტიის ფაქტობრივი და ფულადი შემოსავალი 8-დან 26 ოქტომბრამდე 161 810 ლარი იყო. ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობის სახით, პარტიამ 160 810 ლარი მიიღო.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის ფონდის ხარჯებს, პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“ 161 810 ლარი დახარჯა. საქონელი და მომსახურების მუხლში – 1 352 ლარი მიუთითა.

8-დან 26 ოქტომბრამდე, ყოფილი პრემიერის პარტიამ რეკლამაზე 159 308 ლარი დახარჯა, სატელევიზიო რეკლამაზე – 97 623 ლარი, ბეჭდურ რეკლამაზე – 20 780 ლარი, ინტერნეტ-რეკლამაზე – 25 506 ლარი, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამაზე – 1 855 ლარი, ხოლო გარე რეკლამაზე – 8 060 ლარი დახარჯა.

სესიები, კონფერენციები, ყრილობები, სემინარები და სხვა სამუშაო შეხვედრები გიორგი გახარიას – 4 484 ლარი დაუჯდა, ხოლო მისი პარტიის საიჯარო ქირის ხარჯი 8-დან 26 ოქტომბრამდე – 1 000 ლარი იყო.

რა გზა გაიარა მაია სანდუმ პრეზიდენტის მეორე ვადით დაკავებამდე

ბინძური ფული, ამომრჩევლის მოსყიდვა და კრიმინალური ჯგუფები – რა არის ცნობილი პრორუს ალექსანდრ სტოიანოგლოზე

ნინო დოლიძე

„ძვირფასო მოლდოველებო, თქვენ გაეცით გაკვეთილი დემოკრატიის შესახებ, რომელიც ისტორიის წიგნებში ჩაწერის ღირსია. დღეს თქვენ მოლდოვა გადაარჩინეთ!“ – ასე მიმართა მოსახლეობას მაია სანდუმ, მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ. სანდუს შეფასებით, არჩევნებში „მოლდოვა მთელი ევროპის ისტორიაში უპრეცედენტო თავდასხმის ქვეშ მოექცა“, თუმცა „თავისუფლებამ და მოქალაქეებმა გაიმარჯვეს“.

„მოლდოვა მთელი ევროპის ისტორიაში უპრეცედენტო თავდასხმის ქვეშ მოექცა, ბინძური ფული, ამომრჩევლის უკანონო მოსყიდვა, ქვეყნის გარეთ მტრული ძალებისა და კრიმინალური ჯგუფების მიერ საარჩევნო პროცესებში ჩარევა, სიძულვილისა და შიშის დათესვა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენი ხალხი გაერთიანდა, თავისუფლებამ და მოქალაქეებმა გაიმარჯვეს. ძვირფასო მოლდოველებო, თქვენ გაეცით გაკვეთილი დემოკრატიის შესახებ, რომელიც ისტორიის წიგნებში ჩაწერის ღირსია. დღეს თქვენ მოლდოვა გადაარჩინეთ!

დიასპორა – საოცარი ხარ! მოლდოველებმა საზღვარგარეთ კიდევ ერთხელ აჩვენეს, რომ მოლდოვა ისევე ძლიერად ფეთქავს მათ გულებში“, – განაცხადა მაია სანდუმ.

ცნობისთვის, 3 ნოემბერს, მოლდოვაში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა და 55%-იანი მხარდაჭერით, პროევროპულმა კანდიდატმა, მოქმედმა პრეზიდენტმა მაია სანდუმ გაიმარჯვა. სანდუს მეტოქემ, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, რომელსაც მხარს პრორუსული სოციალისტების პარტია უჭერდა, ხმების 45% მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ მოლდოვას საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ამომრჩევლების აქტივობა 54% იყო. განსაკუთრებით კი ემიგრანტები აქტიურობდნენ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მოლდოვაში პრეზიდენტის თანამდებობა, ასე ვთქვათ, ცერემონიული თანამდებობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა ხშირად აქვს.

ვინ არის სანდუ

მაია სანდუს ოფიციალური ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა 1972 წლის 24 მაისს, ფალეშტის რაიონის სოფელ რისიპენში, გრიგორი და ემილი სანდუების ოჯახში.

1995-1998 წლებში, სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობებს სახელმწიფო მართვის აკადემიაში. 2010 წელს, ჯონ კენედის სახელობის ჰარვარდის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტი დაასრულა.

2012 წელს, მოლდოვას განათლების მინისტრად დაინიშნა.

მაია სანდუ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატი პირველად 2016 წელს იყო, რა დროსაც პირველ ტურში, ხმების 38.71% მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა. მეორე ტურში კი ხმების 47.89%-ით, ისევ მეორე ადგილზე გავიდა.

მაია სანდუმ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა 2020 წელს ისევ მიიღო, ისევ მეორე ტურში გავიდა და... ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი დაამარცხა.

მაია სანდუ დასაოჯახებელია. ფლობს რუმინულ, ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

* * *

2020 წელს, მაია სანდუმ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, სასამართლო სისტემის რეფორმირების დაპირებებით გაიმარჯვა, თუმცა პრეზიდენტობის პირველ ვადაში საქმე ძალიან გაურთულდა. ამის მიზეზი კი კორონავირუსის პანდემიით განადგურებული ეკონომიკა და რუსეთთან დაძაბულობა იყო.

* * *

52 წლის სანდუმ სახელი პირველად 2012 წელს გაითქვა, როდესაც ქვეყნის განათლების მინისტრის თანამდებობას იკავებდა. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წარუმატებლობიდან 3 წლის შემდეგ, მაია სანდუ მოლდოვას პრემიერის პოსტს იკავებს. სანდუს პრემიერობა იმის შედეგი იყო, რომ მისი პარტია მოლდოვას სოციალისტური პარტიის მოკავშირე გახდა.

* * *

როგორც პრეზიდენტმა, სანდუმ მნიშვნელოვანი როლი იმაში ითამაშა, რომ 2022 წლის ივნისში, ქვეყანამ ევროკავშირში გასაწევრიანებლად კანდიდატის სტატუსი მიიღო. ეს განსაკუთრებით საყურადღებო უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო გახდა.

* * *

ზოგიერთის მიერ კეთილსინდისიერებისთვის ნაქები სანდუ, ამავდროულად, გააკრიტიკეს სასამართლო რეფორმის ნელი ტემპისა და მოლდოვას დასუსტებული ეკონომიკის ვერგამოცოცხლების გამო.

27 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო დებატებში, სანდუმ აღიარა, რომ დაპირებული სასამართლო რეფორმა, მათ შორის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენერალური პროკურატურის რეფორმირება ნელა მიმდინარეობდა და პირობა დადო, რომ ასეთი ზომები მომავალში უფრო ეფექტიანი იქნება.

თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადის მანძილზე, სანდუს აკრიტიკებდნენ კრემლის მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მას მოსკოვთან კონფლიქტის გაღვივებაში ადანაშაულებდნენ.

2022 წლის დეკემბერში, სანდუ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამოც გაიკიცხა ანუ მან ექვს პრორუსულ ტელეარხს „ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის“ ლიცენზია შეუჩერა.

პრეზიდენტად ხელმეორე ვადით არჩევის კამპანიაში სანდუმ პირობა დადო, რომ შეინარჩუნებს მშვიდობას, გააუმჯობესებს ცხოვრების პირობებს (მოლდოვა ყველაზე ღარიბი ქვეყანაა ევროპაში) და გაწევრიანდება ევროკავშირში 2030 წლისთვის.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა გზა გაიარა მაია სანდუმ პრეზიდენტის მეორე ვადით დაკავებამდე

მე-7 გვერდიდან

* * *

ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჩატარებულ რეფერენდუმში უმნიშვნელო უპირატესობით გამარჯვების შემდეგ, რომელიც გაიმართა 20 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურთან ერთად, სანდუმ განაცხადა, რომ მოლდოვა იყო უპრეცედენტო გაყალბების სამიზნე და რომ „კრიმინალურმა ჯგუფებმა“ და „უცხო ძალებმა“ სცადეს 300 000 ხმის მოსყიდვა, თუმცა მან თავი შეიკავა შედეგების გაპროტესტებისგან.

სანამ მოლდოვას პოლიცია გაქცეულ ოლიგარქს ილან შორს ადანაშაულებს ამომრჩეველთა მოსყიდვის სქემაზე პასუხისმგებლობაში, სანდუ გააკრიტიკეს მოწინააღმდეგეებმა, არასრულფასოვანი მტკიცებულებების წარდგენისა და მოსყიდული მოლდოველების რაოდენობის გაზვიადების გამო (პოლიციაში აცხადებენ, რომ ხმების მოსყიდვის სქემის ბენეფიციარი იყო 138 000 ადამიანი და არა 300 000).

* * *

ასეა თუ ისე, მაია სანდუ მოლდოვას პრეზიდენტი უკვე მეორე ვადით გახდა. მას გამარჯვება მთელმა ცივილურმა სამყარომ და, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტმაც მიულოცა.

ზოგადად, გაბატონებული დოგმაა და მაია სანდუს გამარჯვება იმის წინაპირობაა, რომ რუსეთი არათუ უკრაინაში, არამედ, ზოგადადაც დამარცხდება. ძნელი სათქმელია, ეს თეორია რამდენად რეალისტურია, თუმცა ფაქტია, რომ იგივე მოლდოველებმა არჩევანი სანდუს სასარგებლოდ გააკეთეს და არა – მისი კონკურენტის, ყოფილი გენპროკურორის, რომელიც პრორუსული განწყობებითაა ცნობილი.

საერთოდ, ამბობენ, რომ ალექსანდრ სტოიანოგლოს ამოცნობა რთულია.

ამასთან, ითვლება, რომ სტოიანოგლოს წარსულმა გამოცდილებამ (იგულისხმება გენერალური პროკურორობა 2019-2021 წლებში), მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის საპრეზიდენტო კამპანიაზე ანუ 57 წლის ალექსანდრმა პირობა დადო, რომ თუ პრეზიდენტი გახდებოდა, „ცილისწამებაზე კანონის გამარჯვებას“ უზრუნველყოფდა.

* * *

გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ყოფნისას, სტოიანოგლო ფართოდ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოლიგარქ ვეჩესლავ პლატონის საქმეში მას ბრალი უმოქმედობაში ედება... ცნობისთვის, პლატონი ქვეყნის ბანკებიდან, დაახლოებით, 1 მილიარდი დოლარის გაუჩინარების საქმეში მონაწილეობდა ანუ კამერამ მაშინ დააფიქსირა, როდესაც საეჭვო ჩანთა გადასცა PRSM-ის ლიდერსა და ყოფილ პრეზიდენტ იგორ დოდონს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მოლდოვას დიასპორას შორის ყველაზე პოპულარული კანდიდატი იყო და პროკრემლისტური PSRM-ის მხარდაჭერით სარგებლობდა, სტოიანოგლო ამბობდა, რომ მას არ აქვს პოლიტიკური კუთვნილება და უარყოფდა ბრალდებებს, რომ ის არის „მოსკოვის კაცი“.

მან, ასევე, უარყო კორუფციის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უკანონო გამდიდრების ბრალდებები და თქვა, რომ ყველა ყალბი მტკიცებულება შეთხზულია სანდუს ადმინისტრაციის მიერ.

ისე, სტოიანოგლო ზოგიერთი კრიტიკისაგან განთავისუფლდა, როდესაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მისი გენერალური პროკურორის თანამდებობიდან მოხსნასთან დაკავშირებული საქმე მოიგო.

მოლდოვას პრეზიდენტობის ყოფილ პრორუს კანდიდატს არაერთხელ დაუკავებია პრორუსული პოზიცია, მაგალითად, კომუნისტური პერიოდის სისასტიკეების დაგმობის რეზოლუციაზე უარის თქმით.

მისი რეაქცია უკრაინის ომზე ასევე ბუნდოვანი იყო: მან გამოხატა „ნეგატიური დამოკიდებულება“ კონფლიქტის მიმართ, მაგრამ პირდაპირ არ დაგმო რუსეთი შეჭრისთვის.

მისი მიდგომა მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვისადმი ასევე გამოირჩეოდა სიფრთხილით. მიუხედავად იმისა, რომ ბოიკოტი გამოუცხადა რეფერენდუმს ევროკავშირის კონსტიტუციაზე და აკრიტიკებდა ევროკავშირის მიერ დაკისრებული რეფორმების ტემპსა და განხორციელებას, ახლახან წამოაყენა წინადადება, რომ მას და სანდუს ხელი მოეწერათ ერთობლივი დეკლარაციისთვის, რომელიც მოლდოვას ევროპულ კურსს დაუჭერს მხარს.

ამ ბუნდოვანებამ გამოიწვია პოლიტიკური ოპორტუნიზმისა და ფარისევლობის ბრალდებები. მიუხედავად მისი, როგორც წესი, ევროკავშირის საწინააღმდეგო პოზიციისა, ის ასევე, რუმინეთის (და, შესაბამისად, ევროკავშირის) მოქალაქეა და გავრცელებული ინფორმაციით, მისი ქალიშვილი ევროპის ცენტრალურ ბანკში მუშაობს.

სამართალი

№37 6 ნოემბერი 2024 წ

გამწარებული ცოლის შურისძიება

„მთელი ცხოვრება გამიმწარა ამ იდიოტმა“ – როგორ გახსნეს სამართალდამცავებმა თაღლითური სქემა

ბათო ჯაფარიძე

ეგებ, ახლაც არიან პროფესიონაალი თაღლითები, მაგრამ ადრე, როცა ის ტექნოლოგიები არ არსებობდა, რაც ახლაა, თაღლითობა ხელოვნების დონეზე ჰქონდათ აყვანილი და ისეთებს იფიქრებდნენ და აკეთებდნენ, არა მარტო გამომძიებლები, არამედ, დაზარალებულებიც კი აღფრთოვანებულები რჩებოდნენ. თაღლითების უპირატესობა ის იყო, რომ ისინი ცდილობდნენ „კანონიერ ქურდებთან“, ყაჩაღებთან, მკვლელებთან ანუ მძიმე კრიმინალთან საქმე არ ჰქონოდათ. ასე იყო თუ ისე, პროფესიონალი თაღლითების კასტა დაფასებული იყო და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნა ნებისმიერი გამომძიებლისთვის სასახელო იყო...

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა, რომელმაც უცნაური ფაქტის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, სახლიდან დაკარგა საბუთები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

„არც კი ვიცი, როგორ ვთქვა. მარტო ვცხოვრობ, დილით გავდივარ სახლიდან და საღამოს მოვდივარ. შინ მაქვს სეიფი, რომლის გასაღებიც მხოლოდ მე მაქვს და მუდმივად თან დამაქვს, სახლის გასაღებთან ერთად მაქვს აცმაზე. ცოტა ხნის წინ, მოვიგე ტენდერი, რომელიც ჩემი კომპანიისთვის ერთადერთი გადამრჩენი საშუალებაა. თუ ამ ტენდერს ვერ განვახორციელებ, მაშინ ჩემი კომპანიაც და ბიზნესიც დაიღუპება. მოვაგროვე საბუთები, რომელთა შეგროვებასაც ლამის ორი თვე მოვანდომე და მქონდა სეიფში. რამდენიმე დღის წინ, გავაღე სეიფი და საბუთები არ დამხვდა. არადა, გასაღები არ დამიკარგავს, არავისთვის მითხოვებია, ჩემთან არავინ მოსულა და ამიტომ, ძალიან, ძალიან გამიკვირდა. მეორე დღეს, სახლის ტელეფონზე დამირეკეს და მითხრეს, თუ საბუთების დაბრუნება მსურდა, 10 ათასი დოლარი უნდა გადამეხადა. ეს თანხა ჩემთვის დიდია, მაგრამ საუბარი ლამის 2-მილიონიან ტენდერზეა და ამიტომ, მეგობრებისგან ვისესხე და გადავიხადე, მაგრამ საბუთები არ მიმიღია, ეს ადამიანები გაქრნენ. იმაში დასარწმუნებლად, რომ მართლა დამრეკავს ჰქონდა ჩემი საბუთები, სახლთან ერთ-ერთი დოკუმენტი დამიგდეს, დედანი, რომელიც სეიფში ინახებოდა და დავრწმუნდი, რომ სწორედ მათ წაიღეს ყველაფერი. ახლა არ ვიცი, რა ვქნა. ახალი საბუთები რომ გავაკეთო, დრო უნდა, ტენდერის ვადებს გადავაცილებ და ყველაფერი მორჩება. გთხოვთ, დამეხმარეთ, მაგრამ... კიდევ ვიმეორებ, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შემოვიდა ჩემს სახლში, რატომ შემოვიდა და რაც მთავარია, როგორ შემოაღწია მაშინ, როცა გასაღები, როგორც სახლის, ისე სეიფის, მხოლოდ მე მაქვს და მეტს არავის“, – განაცხადა მან.

სამართალდამცავები საქმეში ჩაერთვნენ და პირველ რიგში, იმის გარკვევა დაიწყეს, ვის სურდა იმავე ტენდერის მოგება ანუ ვინ იყო კონკურენტი. ამასთან, ექსპერტმა შეამოწმა, როგორც ბინის შესასვლელი კარი, ისე სეიფი და ასპროცენტიანი სიზუსტით თქვა, რომ ორივე ნამდვილი გასაღებით იყო გაღებული, ესე იგი, ასლი გამოყენებული არ გახლდათ. მამაკაცს სახლში ედო ბინის კიდევ ერთი გასაღები, რომელიც ასევე შეამოწმა ექსპერტმა და თქვა, რომ ეს გასაღები რამდენიმე თვეა, არ გამოუყენებიათ. გამოდიოდა, რომ ქურდი ბინაში იმ გასაღებით შევიდა, რომელსაც მეპატრონე უბრალოდ არ იშორებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაზარალებულს გასაღები მოპარეს და მერე ჩუმად დაუბრუნეს, თან ისე, რომ ამას ვერ მიხვდა, მაგრამ კაცი ამბობდა, შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რას ჰქვია, მომპარეს და მერე უკან დამიბრუნეს, მკვდარი ხომ არ ვარო.

რაც შეეხება კონკურენტს, მან განაცხადი შეიტანა იმავე ტენდერზე, აქაოდა, გამარჯვებული ვერ ახერხებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებასო ანუ მან ზუსტად იცოდა, რომ დაზარალებულმა დოკუმენტაცია დაკარგა, მაგრამ საიდან და როგორ, ეს იყო გასარკვევი, ამიტომ ის დაკითხვაზე დაიბარეს.

„ვიცი, რომ მან დოკუმენტაცია დაკარგა. როგორ დაკარგა, სად და როდის, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ დაკარგა. მე დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ დოკუმენტი მოიპარეს და დასარწმუნებლად, ერთ-ერთი დოკუმენტის ასლს მომყიდდნენ. დავთანხმდი და ვიყიდე, 5 ათასი დოლარი გადავიხადე და შემდეგ განაცხადი გავაკეთე, რომ გამარჯვებული ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. დამნაშავე არ ვარ, ეს ბიზნესია და ყველა ისე ცდილობს გადარჩეს, როგორც ახერხებს“, – განაცხადა ბიზნესმენმა და... მის წინააღმდეგ ძალოვნებს, პრაქტიკულად, არაფერი ჰქონდათ.

ახლა, მთავარი ის იყო, რომ დაზარალებულს გაეხსენებინა უცნაური შემთხვევა, რომელიც ბოლო დღეებში თავს გადახდა და მნიშვნელობა არ მიანიჭა. მამაკაცი მხრებს იჩეჩდა, ჩემი ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს, სამსახური, სახლი, საყვარელიც კი არ მყავს, ან რაღა საყვარელი, ჯერ ცოლსაც არ დავშორებულვარო. ეს უკვე საინტერესო იყო.

„ჰო, ცოლი მყავდა და დაახლოებით, ექვსი თვის წინ დავშორდი. სამსახურის გამო, მუდმივად დაკავებული ვიყავი, ის კი მეუბნებოდა, ყურადღებას არ მაქცევო. ჰოდა, ერთ დღეს, ბიზნესპარტნიორმა საქმიან სადილზე დამპატიჟა, ჩემს სასტუმროში მოდიო, ასე მითხრა. მივედი და სასტუმროს რესტორანში დავსხედით. იქიდან დავინახე, როგორ შემოვიდა სასტუმროში ჩემი ცოლი ვიღაც კაცთან ერთად. ბიზნესპარტნიორმა თქვა, მოგწონს ეგ ქალი, აქ დადის უკვე ორი კვირაა, ალბათ, საყვარლები არიანო. არაფერი ვუთხარი, საღამოს კი... ცოლმა პირში მომახალა, კი, გღალატობ, შენისთანა დონდლო კაცი არ მჭირდებაო და წავიდა. მაშინ ხელს მთელი ოქროული და არცთუ დიდი, მაგრამ მაინც საკმარისი თანხა გააყოლა. ამიტომ, მეორე დღესვე შევცვალე კარის საკეტი და რაც მთავარია, ერთი კვირის შემდეგ შევიძინე სეიფი ანუ გამორიცხულია, ცოლს ახალი გასაღები ჰქონოდა და თან, არც იმის წარმოდგენა უნდა ჰქონოდა, რომ სეიფი ვიყიდე“, – განაცხადა კაცმა და კითხვაზე, ბოლოს როდის შეხვდა ცოლს, გაეღიმა.

„რამდენიმე დღის წინ, სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, ზედ ჩემი სადარბაზოს წინ, მანქანაში წყვილი ერთმანეთს კოცნიდა. ნაცნობი სილუეტი იყო, დავაკვირდი და ცოლი ამოვიცანი. გავბრაზდი, ზედ ჩემს სადარბაზოსთან რატომ ხარ-მეთქი და შენ რომ ნერვები მოგიშალოო. მანქანიდან მისი კურო გადმოვიდა და დამარტყა, მერე მეც დავარტყი, მოკლედ, ჩხუბი გავმართეთ. ამ დროს, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი ჩაერია, გვაშველებდა, ხან მე ჩამომეკიდა, ხან – იმას. ბოლოს კი, საიდანღაც პოლიციელი გამოჩნდა, ის ბიჭი გაიქცა, ჩვენ ერთმანეთს შევრჩით. ამ პოლიციელმა მანქანაში ჩაგვსვა, ერთი საათი ავსებდა ოქმს, მერე, ყოველი შემთხვევისთვის, გამჩხრიკეს მეც და ისინიც და გამოგვიშვეს“, – განაცხადა დაზარალებულმა.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. გადაამოწმეს და რამე ჩხუბის შესახებ განცხადება შესული არ იყო, არც პოლიციელის ოქმი გახლდათ სადმე აღრიცხული. მამაკაცის ცოლზე თვალთვალი დაიწყეს. თვალთვალმა საინტერესო არაფერი მოიტანა გარდა იმისა, რომ მას და მის რჩეულს ფული აშკარად ჰქონდათ და ბარ-რესტორნებს არ იკლებდნენ. გადაწყდა, მათ ბინაში ჩხრეკა ჩატარებულიყო, რადგან სამართალდამცავები ვარაუდობდნენ, რომ წყვილი დოკუმენტაციას ასე მალე ვერ მოიშორებდა. მართლაც, ბინაში ყველა არა, მაგრამ დოკუმენტების ნაწილი აღმოჩნდა. დამალვას აზრი არ ჰქონდა და მოყოლა ქალმა დაიწყო.

„მთელი ცხოვრება გამიმწარა ამ იდიოტმა. სამსახურის გარდა, პირზე არაფერი ეკერა, მე კი ახალგაზრდა ვარ, ახლა მინდა ცხოვრება. როცა დავშორდით, სახლიდან ყველაფერის გარეშე გამომაგდო. ის ოქროული მე მიყიდა და მე მეკუთვნოდა, ამიტომ წავიღე. ის ფულიც, რაღაც ხომ უნდა წამეღო. მერე გავიგე, რომ ტენდერი მოიგო, მაგისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, ავშენდებით ამ ტენდერითო. ის თანამშრომელი კარგად გამოვკითხე, დოკუმენტაციაზე გააკეთა აქცენტი, ისიც ახსენა, სეიფი იყიდაო. ჩემი ახალი ქმრის მეგობარი ილუზიონისტია, ჯიბიდან ისე ამოგაცლის რამეს, ვერც გაიგებ. ჰოდა, დავგეგმეთ, მეორე მეგობარს პატრულის ფორმა ჩავაცვით, ჩხუბის ინსცენირება მოვაწყვეთ და ის დამხმარე, სწორედ ილუზიონისტი იყო, ჯიბიდან ამოაცალა გასაღები და სანამ ოქმი შედგებოდა, მანამ ბინა გაასუფთავა. ფულს რომ გადაიხდიდა, ზუსტად ვიცოდი, მაგრამ ისიც მინდოდა, რომ გამწარებულიყო, ამიტომ ფული გამოვართვით, საბუთები კი არ დავუბრუნეთ. მერე იმ მეორეს დავურეკეთ და იმასაც ფული წავართვით. ვერ ვხვდები, როგორ გამოხვედით ჩვენზე, მაგრამ... მაგ დოკუმენტებს ნაწილი მაინც აკლია, სიმწრით დავხიე. ამიტომ, შეიძლება, მე ციხეში წავიდე, მაგრამ ეგ იმ ტენდერს მაინც ვერ მიიღებს“, – დაასრულა მოყოლა ცოლმა.

მართლაც, დოკუმენტაციას ნაწილი აკლდა, მაგრამ შესაბამის უწყებებთან მამაკაცს სამართალდამცავებმა უშუამდგომლეს და მას მოგებული ტენდერის განხორციელების შესაძლებლობა მისცეს.

ვინ და რატომ სცადა გამომძიებელი ქალის აფეთქება

ბათო ჯაფარიძე

„თქვენი თანამშრომელი ბოზია... ვნანობ კიდეც, რომ არ ააფეთქეს“

ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, მამაჩემის თანაკლასელი გვყავდა სტუმრად. სამართალდამცავ ორგანოში მუშაობდა და საუბარი პენსიებზე ჩამოვარდა, 25 წელიწადში მოგვიწევსო, ამბობდნენ. ჰოდა, მამაჩემის თანაკლასელმა თქვა, მთელი ცხოვრება ტყვიის ქვეშ ვარ და ჩვენ, ძალოვნებს, განსხვავებული პენსია უნდა გვქონდესო. მაშინ პრეზიდენტი ედუარდ ამბროსიჩი იყო და პენსია... 7 ლარი. მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ რაც მახსოვს, ის იყო, რომ გამიკვირდა, რა ტყვიის ქვეშ არის ეს კაცი, ლამის ყოველ დღე ვხედავ, ფორმა აცვია, იარაღი ჰკიდია და ქუჩაში დადის-მეთქი. მერე იყო, ამ ამბიდან დაახლოებით, ერთ წელიწადში, ჩვენს მახლობლად სპეცოპერაცია ჩატარდა, სამი თანამშრომელი დაიჭრა მაშინ, კრიმინალებიდან ერთი მოკლეს, ორი დაიჭრა, ერთმა გაქცევა მოახერხა (გაქცეული 8 წლის შემდეგ დააკავეს და 15 წელი მიუსაჯეს). ჰოდა, დაჭრილებიდან ერთ-ერთი სწორედ მამაჩემის თანაკლასელი იყო, გადარჩა საბედნიეროდ, თუმცა მაშინ მივხვდი, რას გულისხმობდა, როცა ამბობდა, ტყვიის ქვეშ ვარო. სამართალდამცავებს, შესაძლოა, მთელი წლის განმავლობაში არ ჰქონდეთ სახიფათო შემთხვევა, მაგრამ შემდეგ იყოს ერთი და... ამიტომ, როცა ვამბობთ ან ვწერთ, რომ პოლიციელი გმირია... ის მართლაც გმირია, ნამდვილი გმირი!

„არ ვიცი, რა ვთქვა და როგორ ვთქვა, მაგრამ... ჩემი ცოლის მოკვლა სცადეს“, -მილიციის განყოფილებაში 40 წლამდე მამაკაცი მივიდა და მისი სიტყვების მოსმენის შემდეგ, ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს. ამ კაცს ყველა კარგად იცნობდა, რადგან მისი მეუღლე... იმავე განყოფილების გამომძიებელი იყო და თან ძალიან კარგი გამომძიებელი.

„ჰო, თქვენი კოლეგის მოკვლა სცადეს, მან კი აქ მოსვლა ამიკრძალა, აქაოდა, ისედაც ბევრი საქმე აქვთ, ახლა ჩემს ამბავზე თავი რომ არ იმტვრიონ, თავადაც გავერკვევიო. მე კიდევ მგონია, რომ ყველა ერთად უნდა გავერკვეთ. მას არაერთი კრიმინალი ჰყავს ციხეში ჩასმული და მგონია, რომ სწორედ ისინი აპირებენ შურისძიებას“, – ამბობდა მამაკაცი და ძალოვნებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ის მართალი იყო.

უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ქალს სამმართველოს უფროსმა დაურეკა და სამსახურში მისვლა სთხოვა. როცა გამომძიებელმა გაიგო, რისთვის დაიბარეს, გაბრაზდა, მაგრამ რაღას იზამდა, ყველაფერი დაწვრილებით მოჰყვა.

„ჩემი აფეთქება უნდოდათ. ჩვევა მაქვს, საღამოს აუცილებლად ვაღებ საფოსტო ყუთს და ეს იმდენად მსიამოვნებს, რომ ჩემს ქმარს აკრძალული აქვს ამის გაკეთება. იმ დღესაც, ჩვეულებრივ მივედი საფოსტო ყუთთან და დავინახე, რომ რაღაც იდო, მაგრამ იმდენად უცნაურად მეჩვენა, მაშინვე არ გამოვაღე. ჯერ დავაკვირდი კარგად, რა იყო, მერე ოდნავ გადმოვწიე და დავინახე, რომ გადმოსაწევზე რაღაც თოკი იყო მიმაგრებული. სახლში არ ავსულვარ, ქმარს დავუძახე, მაკრატელი ჩამომიტანე-მეთქი და ის თოკი გადავჭერი. როგორც მერე აღმოვაჩნე, თოკზე ასაფეთქებელი იყო მიმაგრებული, დაახლოებით, „ლიმონკას“ მექანიზმის მსგავსი, მაგრამ ეს არ იყო ხელყუმბარა. პროფესიონალის აწყობილი გახლდათ და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ არ მინდოდა განყოფილება შემეწუხებინა. თავადაც ვიპოვიდი, ვინ მყავდა ისეთი „გასროკილი“, ვინც ასეთ ამბებში ერკვეოდა და მარტივად გავშიფრავდი, თუმცა ჩემმა ქმარმა გადაწყვიტა, რომ აქ მოსულიყო და სხვა რა გზაა, ერთად გამოვიძიოთ. ისე, ეჭვმიტანილი უკვე მყავს – ერთ-ერთი პირი, რომელიც ციხიდან ახლა გამოვიდა, სწორედ ხელნაკეთი ასაფეთქებლების ოსტატია და მგონია, რომ მას უნდა ვეწვიოთ“, – განაცხადა დაზარალებულმა.

დანარჩენები უსიტყვოდ დაეთანხმნენ და ეჭვმიტანილის სახლისკენ წავიდნენ. მამაკაცი შინ იყო, ძალოვნების გამოჩენამ გააკვირვა და იკითხა, რა ხდებაო? როცა ბრალი გააცნეს, გაეღიმა, თუ საქმის შეტენვა გინდათ, კი ბატონო, მაგრამ თუ ნამდვილი დამნაშავის პოვნას აპირებთ, სხვაგან უნდა ეძებოთო. სამართალდამცავებმა ავტოფარეხის გახსნა სთხოვეს და ისიც მშვიდად დათანხმდა. „გარაჟის“ გაჩხრეკის შემდეგ, კუთხეში, ყუთში ჩაწყობილი ნივთები ნახეს, რომლითაც ასაფეთქებლის დამზადება იყო შესაძლებელი და რაც მთავარია, თოკი ზუსტად ის იყო, რომელიც გამომძიებლის საფოსტო ყუთში იყო დამონტაჟებული. ამ აღმოჩენამ სამართალდამცავები კი გაახარა, მაგრამ ავტოფარეხის მეპატრონემ გაოცებისგან პირი დააღო, ენა ჩაუვარდა, ხელები უმწეოდ გაშალა და ჩაილაპარაკა – „შეუძლებელია!“ რა თქმა უნდა, ის განყოფილებაში წაიყვანეს.

„ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დარწმუნებული ვარ, თქვენ არაფერი ჩაგიდიათ ანუ რაც იპოვეთ, იქ იყო, ჩემთან, მაგრამ ზუსტად ასე ვარ დარწმუნებული, რომ მე არ მიმიტანია და ვიღაცამ სპეციალურად დამიდო, მაგრამ ვინ? აი, ამას ვერ ვხვდები და თუ მართლა დამნაშავის დაჭერა გსურთ, მე არ ვარ, თუ გნებავთ, ნუ დამიჯერებთ“, -განაცხადა მან.

თითქოს ძალოვნებს ყველაფერი ხელთ ჰქონდათ, მაგრამ ინტუიცია კარნახობდათ, რომ დამნაშავე არ ჰყავდათ დაკავებული და ამიტომ, ძებნას აგრძელებდნენ, მაგრამ სხვა ეჭვმიტანილი არ ჰყავდათ და გამომძიებელი ქალიც ამბობდა, რომ სხვაზე ეჭვი ვერ მიჰქონდა. ასე გავიდა სამი დღე და... გამომძიებელი მწვავე მოწამვლით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ მის გადასარჩენად, თუმცა მთავარი წარმოდგენა მაშინ დაიწყო, როცა ექიმმა პალატასთან მომლოდინე ქმარს ამცნო, ნუ ნერვიულობთ, ქალიც გადარჩა და ნაყოფიცო. ქმარმა პირი დააღო, რა ნაყოფიო და ექიმმა გაუღიმა, თქვენი მეუღლე ექვსი კვირის ფეხმძიმეა, ნუთუ, არ იცოდითო?

„თქვენი თანამშრომელი ბოზია. ახლა, ეგებ, ვნანობ კიდეც, რომ არ ააფეთქეს, ან რომ არ მოწამლეს. როგორ შეიძლებოდა, ჩემთვის ეღალატა, მე ხომ მასზე მზე და მთვარე ამომდიოდა?“ – ყვიროდა კაცი და დაბნეულ სამართალდამცავებს ცხვირთან თითს უტრიალებდა.

„დიახ, ჩვენ შვილი არ გვყავდა და ექიმმა მითხრა, რომ მე უნდა მემკურნალა, ექვსი თვე უნდა მესვა წამლები და მეკეთებინა ნემსები. ოთხი თვეა ვიკეთებ და ამ ხნის განმავლობაში, ცოლთან ურთიერთობა აკრძალული მქონდა, ცალ-ცალკე ვიწექით და ვისმენდი, როგორ იტანჯებოდა უჩემობით. ახლა კი, ვიგებ, რომ ორსულადაა და ეს მაშინ, როცა მასთან რამდენიმე თვეა არ ვწოლილვარ“, – დეტალები ახსნა კაცმა. სამართალდამცავებმა, როგორც შეეძლოთ, მამაკაცი დაამშვიდეს, შინ გაუშვეს, თავად კი, კოლეგასთან წავიდნენ.

„არ ვიცოდი, მისთვის როგორ მეთქვა. დაშორებას ვაპირებ, ვიპოვე კაცი, რომელიც მართლა მიყვარს და რომელთანაც მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარება მსურს. კარგია, რომ ყველაფერი ასე დალაგდა, კარგია, რომ მე აღარ მომიწევს შესაფერისი სიტყვების მოძებნა“, – განაცხადა ქალმა.

რაც შეეხება მოწამვლას, გამომძიებელი ამტკიცებდა, რომ იმ დღეს საეჭვო არსად არაფერი მიუღია. შუადღეს, ძმამ გამოუარა, უმნიშვნელო საქმე ჰქონდა და ძმას ხელში, ნახევრად დაცლილი ანანასის წვენის ქილა ეკავა. გამომძიებელმა ქილა გამოართვა, თავადაც მოსვა და დაუბრუნა, მაგრამ ის თუ მოწამლული იქნებოდა, მაშინ, მისი ძმაც ხომ მოიწამლებოდა? იყო ამაში ლოგიკა და ის, რომ ძმას არაფერი სჭირდა, ძალოვნებმა უკვე იცოდნენ, რადგან ძმა ფოიეში იდგა და დას გულშემატკივრობდა. გამოდიოდა, გამომძიებელი სხვაგან მოიწამლა, მაგრამ სად? მას არაფერი ჰქონდა მიღებული და ექიმების დასკვნითაც, მოწამვლა სითხის მიღებამ გამოიწვია.

„ახლა გონება დაძაბე და მითხარი – როცა ძმას ანანასის ქილა ეჭირა, როგორც შენ ამბობ, ნახევრად ცარიელი, დაინახე, ან გახსოვს, რომ ქილიდან სითხე მანაც მოსვა?“ -გამოცდილი გამომძიებელი კოლეგას გამომცდელად მიაჩერდა და როცა ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია, მისი ძმის დაკავების ბრძანება გასცა. მან უკვე იცოდა, რომ ძმის ცოლი სამხედრო იყო და კონკრეტულად ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადების სპეციალისტი გახლდათ.

„არ ვიცი, საიდან, მაგრამ ჩემმა ცოლმა გაიგო, რომ ჩემს დას და სიძეს ხელი არ ჰქონდათ მოწერილი. არც ბავშვი ჰყავდათ და მითხრა, შენი და თუ მოკვდება, მაგის ბინაც და აგარაკიც ჩვენ დაგვრჩებაო. ჩემს დას ოთხოთახიანი ბინა აქვს, მე კი, ცოლთან და ორ შვილთან ერთად, ოთახნახევრიანში ვცხოვრობ. თავიდან, კატეგორიული უარი ვუთხარი, მაგრამ თავად მივხედავო, შემპირდა და მგონი, აფეთქებას უპირებდა. მერე კი... მერე ეს მომწამვლელი ქილა მომცა, იცოდა, ჩემი და თავს ვერ შეიკავებდა და... მიხარია, რომ გადარჩა“, – განაცხადა დაკავებულმა, მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ გამოდგა. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ცოლ-ქმარი დააკავეს, ორივე არცთუ მცირე ხნით გაუშვეს ციხეში და ეს იმის მიუხედავად, რომ გამომძიებელი ქალი ყოველნაირად ცდილობდა, ძმა და რძალი გისოსებს მიღმა არ მოხვედრილიყვნენ.

ბათო ჯაფარიძე

დღეს სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ყველგან, ყველაფერი თავად უნდა შექმნა და შეიძინო. ეს განსაკუთრებით საცხოვრებელს ეხება, ბინას, რომელიც ყველას სჭირდება და სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არა ერთი და ორი უბინაო ადამიანია. პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში შენდება ახალი კორპუსები და თითქმის ყველგან იყიდება, მაგრამ ბევრი ამბობს, რომ უძრავ ქონებას ერთი და იგივე ადამიანები ყიდულობენ, ამ გზით ფულს აბანდებენ და რეალურად, რიგით ადამიანებს ბინების შეძენის შესაძლებლობა არ აქვთ. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანები ბიზნესის დასაწყებად (ან სხვა საჭიროებისთვის), ბინას ბანკში დებენ და შემდეგ საცხოვრებლის გარეშე რჩებიან. არაერთხელ გვინახავს თუნდაც სატელევიზიო სიუჟეტი, როგორ ასახლებენ აღმასრულებლები ამა თუ იმ ოჯახს ბინიდან და ეს ცალკე აღებული კონკრეტული ოჯახის ტრაგედიაა.

ვინ არის ქალი, რომელმაც ქმარი ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე „შესვა“

უცნაური კრიმინალური ამბის დეტალები

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და განაცხადა, რომ მეგობარი დაკარგა. უფრო სწორედ, ის მეგობარს ეძებდა და ვეღარ პოულობდა.

„ბავშვობიდან ერთად ვართ გაზრდილები, მერე ქალაქშიც ერთად წამოვედით, საერთო ბიზნესი გვქონდა, შემდეგ გავიყავით, დავოჯახდით, იმას თავისი საქმე ჰქონდა, მე – ჩემი. მოგვიანებით ცოლს დაშორდა და არც გამკვირვებია, მასზე 15 წლით უფროსი იყო და როგორც ამბობდნენ, ქმარი და ოთხი შვილიც ჰყავდა, რომლებსაც სოფელში ზრდიდა და ოფიციალურად, პირველ ქმართან არ იყო დაშორებული. აქ სამუშაოდ ჩამოვიდა და მგონი, არც ეუბნებოდა ქმარს, რომ გათხოვილი ქალი ერქვა. მოკლედ, იმას დაშორდა და მარტო ცხოვრობდა. ასე, ექვსი თვის წინ, ყველაფერი დაკარგა და მე მომადგა, სადმე მამუშავეო. ჩემს ბიზნესსაც არ უდგას კარგი დრო და ვუთხარი, ორი-სამი დღე მაცადე, მოვიფიქრებ რამეს-მეთქი. მაგინა და წავიდა, ეს როგორ მითხარი, ჩვენ ხომ მეგობრები ვართო. მერე შინ მივაკითხე, კარი არ გამიღო, ტელეფონზეც აღარ პასუხობდა. ასე გავიდა ექვსი თვე. გუშინ, მის სახლთან გავიარე და ვიფიქრე, მოდი, ავალ, ვნახავ, რას შვრება-მეთქი და მივედი. კარი უცხო კაცმა გამიღო, ეს ჩემი ბინააო და გამომაგდო. არ ვიცი, რა ვიფიქრო, აგერ, თქვენთან მოვედი“, – განაცხადა კაცმა.

სამართალდამცავები მითითებულ მისამართზე გავიდნენ. კარი სწორედ იმ კაცმა გაუღო, რომელზეც მომჩივანი საუბრობდა, ძალოვნები შინ შეიპატიჟა, ხელშეკრულება ანახა ბინის ქირაობაზე და მხრები აიჩეჩა, აბა, მე რა ვიცი, ბინის მეპატრონე სად არის, ფულს პატიოსნად ვიხდი და დანარჩენი ნაკლებად მაინტერესებსო. პოლიციელებმა მეზობლებიც გამოჰკითხეს და მათი თქმით, კაცი ბინას ხშირად აქირავებდა, თავად გარეუბანში ჰქონდა ნაქირავები და ამ ქირაში აღებული სხვაობით ცხოვრობდა. მეზობლების გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ მამაკაცი, დაახლოებით, ოთხი-ხუთი თვის წინ გაქრა, თუმცა მანამდე, იმავე უბნელ ქალს ხვდებოდა და ყველას ეგონა, რომ ცოლადაც მოიყვანდა, რადგან ქალი მასთან სახლში არაერთხელ დარჩა. რა თქმა უნდა, მონახეს ის ქალიც.

„ჰო, ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, მაგრამ მერე, უმუშევრობის გამო, ნერვიულობა დაიწყო და ამის ფონზე, ფსიქოლოგიური პრობლემები განუვითარდა. რაღაც წამლების მღება დაიწყო, მერე და მერე, დოზა გაზარდა და ერთხელ, როცა წამლის მიღება დააგვიანდა, ისეთი აგრესიული გახდა, მივხვდი, ამ კაცთან ვერ ვიცხოვრებდი და დავშორდი. წარმოდგენა არ მაქვს, სად არის და რას აკეთებს. პრინციპში, არც მინდა ვიცოდე, ისეთი შიში გადავიტანე“, – განაცხადა მან.

რაც შეეხება ბინის ქირის გადახდის ფორმას – მდგმური ამბობდა, რომ ბანკის ბარათზე რიცხავდა, მერე კი გაჰქონდა თუ არა მეპატრონეს, წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამიტომ, ბანკში ბარათი შეამოწმეს და დაადგინეს, რომ თანხა ჩარიცხვიდან ერთ დღეში იხსნებოდა ანუ ან მამაკაცი ცცოცხალი და უვნებელი იყო, ანაც... მის ბარათს ვიღაც იყენებდა. ამასობაში, ქალაქის გარეუბანში, მდინარემ გვამი გამორიყა. როგორც ჩანს, გვამი წყალში დიდი ხნის განმავლობაში იყო, რადგან სახე არ უჩანდა, მაგრამ მეგობარმა თქვა, რომ აღნაგობით ის ძალიან ჰგავდა იმ კაცს, რომელსაც ეძებდა. ჰო, მეგობარმა ისიც თქვა, ზუსტად მახსოვს, პირველი ჯგუფის სისხლი აქვს, სტუდენტები რომ ვიყავით, გადასხმა დამჭირდა და მაშინ გავარკვიეთ, რომ ერთი ჯგუფის სისხლი გვქონდაო. ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ მდინარის მიერ გამორიყულს მესამე ჯგუფი ჰქონდა ანუ ის სხვა იყო.

ამასობაში, ბანკომატებზე დაყენებული ვიდეოთვალის შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ ბარათზე დარიცხულ ბინის ქირას ვიღაც ქალი ხსნიდა, რომელსაც სახე მუდმივად დამალული ჰქონდა და თავზეც თავსაფარი მჭიდროდ ჰქონდა შემოხვეული ანუ იმის გარკვევა, რა ფერის თმა და როგორი სახის ნაკვთები ჰქონდა, წარმოუდგენელი გახოდათ. საგულისხმო იყო, რომ ქალი ფულს მუდმივად ერთსა და იმავე ბანკომატიდან ხსნიდა და ვინაიდან ქირის გადახდის დრო ახლოვდებოდა, სამართალდამცავები დამშვიდდნენ. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქალი ფულის ასაღებად მივიდოდა და დააკავებდნენ. მდგმურს არაფერი უთხრეს, უბრალოდ, ბანკი გააფრთხილეს, როცა თანხას შეიტანს, გვითხარიო. რამდენიმე დღეში, ბანკიდან დარეკეს, რომ მამაკაცმა თანხა შეიტანა და ახლა მთავარი იყო, ქალი მისულიყო. ძალოვნებმა ბანკომატის გარშემო ჩასაფრება მოაწყვეს, ერთი ძალოვანი ჭუჭყიანი ტანსაცმლით იქვე ჩამოჯდა, წინ პლასტმასის ჭიქა დაიდო და „მათხოვრობა“ დაიწყო. ასე გავიდა ერთი დღე, მეორე და... მესამე დღეს, ბანკიდან დარეკეს და თქვეს, რომ ბარათიდან თანხა მოიხსნა, ოღონდ სხვა ბანკომატიდან. სამართალდამცავები გაოცებულები უყურებდნენ ერთმანეთს, ასეთი რამ მანამდე არასდროს მომხდარა და რატომღაც ქალმა სწორედ მაშინ გადაიფიქრა კონკრეტულ ბანკომატთან მისვლა, როცა მას ჩასაფრება მოუწყვეს. გამოდიოდა, რომ ვიღაცამ ის გააფრთხილა, მაგრამ ვინ?

„ჩვენი უწყებიდან ამის გამკეთებელი არავინ იყო. ვერც მდგმური გარისკავდა და რჩება სამეზობლო ანუ რომელიღაც მეზობელმა ქალს უთხრა, რომ დაკარგულ კაცს პოლიცია ეძებს და მანაც უბრალოდ თავი დაიზღვია. ახლა, კიდევ ერთი თვე ცდას და მორიგი ჩარიცხვის ლოდინს აზრი არ აქვს, რადგან ის სხვა ბანკომატში წავა და ყველა ბანკომატთან ხალხს ვერ დავაყენებთ“, – გამომძიებელი თანამშრომლებს ესაუბრებოდა.

გაჩნდა მოსაზრება, რომ გაეგოთ, რომელ პრეპარატებს იღებდა მამაკაცი – ეგებ, ის პრეპარატები მხოლოდ რეცეპტით გაიცემოდა. ასეთ შემთხვევაში, ექიმის მოძებნა ძნელი არ იქნებოდა და ყოფილმა მეგობარმა ქალმა მხოლოდ ერთი წამლის სახელი გაიხსენა, რომელიც ყველგან იყიდებოდა. სხვა გზა არ იყო – მდგმური ნახეს და უთხრეს, რომ მას ბინის ქირა აღარ უნდა გადაეხადა. მართლაც, მომდევნო თვის კონკრეტულ რიცხვში მდგმურმა თანხა არ ჩარიცხა, არც მეორე დღეს ჩარიცხა და მესამე დღეს, ტელეფონზე მესიჯი მიუვიდა, ფულს როდის ჩარიცხავო? რაღა თქმა უნდა, ძალოვნებმა ტელეფონის ნომერი ყველა მიმართულებით შეამოწმეს, მაგრამ ის გარდაცვლილზე იყო გაფორმებული და... მოქმედების არედანაც მალე გაქრა. გარდაცვლილი, რომელზეც ტელეფონი იყო, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სოფელში ფიქსირდებოდა და სამართალდამცავებმა იმის გარკვევა დაიწყეს, ხომ არ იყო ვინმე ისეთი იმ სოფლიდან, რომელსაც გამქრალ კაცთან კავშირი ექნებოდა.

„როგორც მახსოვს, მაგ სოფლიდან მისი ცოლი იყო, ის ქალი, მე რომ გითხარით“, – განაცხადა მეგობარმა, რომელიც უკვე ვარუდობდა, რომ მისი ბავშვობის ძმაკაცი მოკლეს. ძალოვნებმა სოფელში ფრთხილად გამოიკითხეს ქალის ადგილსამყოფელი და დაადგინეს, რომ მას ქმარ-შვილი სოფლად ჰყავდა, თავად კი ქალაქში იყო წასული, სამუშაოდ. დაადგინეს მისი ნომერიც და სახლში მიაკითხეს. ქალს სამართალდამცავების დანახვისას ელდა ეცა, ეცადა, შინ არ შეეშვა, მაგრამ რას გახდებოდა? ძალოვნები ქალის მიერ ნაქირავებ ბინაში შევიდნენ და ლოგინზე უგონოდ და უღონოდ მყოფი მამაკაცი დაინახეს. ეს სწორედ ის იყო, ვისაც ამდენხანს ეძებდნენ. რაღა თქმა უნდა, ქალი დააკავეს.

„ქალაქში სამუშაოდ დავბრუნდი და ყოფილი ქმარი შემთხვევით ვნახე, ქუჩაში ლამის უგონოდ იყო. მითხრა, რაღაც აბებს ვიღებო. ჩემს ნაქირავებ ბინაში წავიყვანე და უფრო ძლიერ აბებზე შევსვი. დამალვას აზრი არ აქვს, ანალიზი მაინც აჩვენებს ამას. მერე ქმარს დავშორდი და ხელი ამასთან მოვაწერე. ვფიქრობდი, რომ ასე ბევრს ვეღარ გასტანდა და მისი ბინა დამრჩებოდა. ის ხომ დედისერთაა, მშობლები არ ჰყავს, არც ცოლი და შვილები... მე კიდევ ოთხი შვილი და უსაქმური ქმარი მყავს. ერთხელ მეც ხომ უნდა გავიხარო?“ – განაცხადა ქალმა, რომელიც სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთით „გაახარა“. მამაკაცს კი, მეგობარმა უპატრონა, უმკურნალა და... გადაარჩინა.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა

საქართველოს პროკურატურამ მესტიის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 31 ოქტომბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარში, წარსულში არსებული უთანხმოების გამო, ბრალდებულმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაზარალებულს ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად, დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მეორე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საგამოძიებო სამსახური – ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო საქმეში ფიგურანტი კონკრეტული პირების საბანკო ანგარიშებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო საქმეში ფიგურანტი კონკრეტული პირების საბანკო ანგარიშებს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური განმარტავს, რომ გამოძიება გრძელდება.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმესთან დაკავშირებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სამსახური განმარტავს, რომ კანონით დადგენილი წესით, შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო საქმეში ფიგურანტი კონკრეტული პირების საბანკო ანგარიშებს.

დღეის მდგომარეობით გამოძიება გრძელდება და სამსახური საქმესთან დაკავშირებით პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ატლანტიკური საბჭოს“ მკვლევრებს – სოფო გელავასა და ეთო ბუზიაშვილის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაედო.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, არჩევნების დღეს, მედიის წარმომადგენლებისთვის ხელშეშლის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, ინფორმაციას ავრცელებს

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, 2024 წლის 26 ოქტომბერს, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ამის შესახებ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

მათივე ცნობით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მედიაომბუდსმენიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებები, ასევე ჩატარებული გასაუბრებები, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ჟურნალისტებთან დაკავშირებულ 17 ინციდენტს შეეხებოდა.

„აღნიშნული ფაქტებიდან 13 შემთხვევა, შეტყობინების შინაარსიდან გამომდინარე, არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. მიუხედავად ამისა, თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები შეტყობინების შემოსვლისთანავე არაერთგზის დაუკავშირდნენ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს და მყისიერი სამართლებრივი რეაგირება მოახდინეს. ამ დროისთვის, საგამოძიებო ორგანოში, ინფორმაციის მოწოდების მიზნით, მხოლოდ 5 ჟურნალისტი და 1 ოპერატორი გამოცხადდა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე ატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას“, – აღნიშნულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კაშიას პირველი და ზივზივაძის არჩათვლილი გოლი

გასულ ტურში, გიორგი მიქაუტაძის დამაჯერებელი ასპარეზობის შემდეგ, ყველა ელოდა, რომ მთავარი მწვრთნელი ქართველს, „ლილთან“ გასვლით შეხვედრაში, ძირითად შემადგენლობაში დააყენებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც, ქართველი ფორვარდი პიერ საჟმა მოედანზე მხოლოდ ბოლო 5 წუთით შეუშვა და გულშემატკივრები გააბრაზა, თუმცა ნამატჩევს ახსნა, ასე რატომ მოიქცა. თურმე, მატჩის წინა დღეს, მიქაუტაძე ცუდად გახდა, მატჩამდე ორიოდე საათით ადრე გამოჯანმრთელდა და მწვრთნელმა უბრალოდ არ გარისკა.

„სენტ ეტიენის“ რიგებში სრულად ითამაშა ზურიკო დავითაშვილმა, მისმა გუნდმა კი „სტრასბურგი“ დაამარცხა. ადვილი მისახვედრია, რომ უძლერეს ლიგაში წელს დაბრუნებული გუნდი, ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს და თუ ამას მოახერხებს, ფინანსურადაც გაიმართება წელში და გაისად უფრო მაღალ მიზნებს დაისახავს.

ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუე“ სტუმრად „ჰანოვერთან დამარცხდა, მაგრამ... ჯერ იყო და ბუდუს გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს, აქაოდა, შენი პარტნიორი თამაშგარეში იყოო და მერე, მასპინძლებს ჩაუთვალეს ისეთი გოლი, რომელზეც მთელი გერმანია საუბრობს, რომ თამაშგარედან გავიდა. ბუდუმ სრულად კი ითამაშა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ სამი ქულა „ჰანოვერს“ დარჩა.

ოთარ კიტეიშვილის „შტურმი“ უშუალო კონკურენტ „რაპიდს“ მასპინძლობდა და შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ავსტრიული გუნდის ქართველმა კაპიტანმა 88-ე წუთამდე ითამაშა და მისი გუნდი კვლავ პირველ ადგილზეა.

„შეფილდ უენსდისთან“ მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდმა“. ქართველმა ნახევარმცველმა სრულად ითამაშა და მის ანგარიშზე საგოლე გადაცემაც არის. ამ მოგებით, „უოტფორდი“ საპლეიოფო ზონას დაუბრუნდა ანუ თუ ასე გააგრძელა, არც პრემიერლიგაა შორს.

მიმდინარე სეზონში პირველი გოლი გაიტანა გურამ კაშიამ. ქართველი მცველი „სლოვანს“ კაპიტნობდა, მისი გუნდი კი „პოდბრეჟოვას“ სტუმრობდა და 3:1 გაიმარჯვა. კაშიამ თავისი გუნდის მეორე გოლი შეაგდო, თან შეუცვლელად ითამაშა და რაც მთავარია, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“ მიმდინარე სეზონში მეორე მატჩი წააგო. მისი მეტოქე „ატალანტა“ იყო და შეიძლება ითქვას, რომ ანტონიო კონტეს შეგირდებს ბევრი არაფერი გამოუვიდათ. მწვრთნელმა კვარა მეორე ტაიმის მიწურულს შეცვალა, თუმცა ქართველი თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მარცხის მიუხედავად, ნეაპოლელები პირველ ადგილზე რჩებიან, მაგრამ მდევრებთან სხვაობა საგრძნობლად შემცირდა.

ისტორიული ტრანსფერი – „ნიუკასლმა“ სალია იყიდა

რამდენიმე თვის წინ ითქვა, რომ თბილისის „დინამოს“ 17 წლის შემტევით, ვახტანგ სალიათი მიუნხენის „ბაიერნი“ და „ნიუკასლ იუნაიტედი“ ინტერესდებოდნენ. მაშინ ეს ბევრს გადაჭარბებული ეჩვენა, რადგან ახალგაზდა ბიჭს ფეხი „დინამოშიც“ კი არ ჰქონდა ნორმალურად მოკიდებული, მაგრამ მერე და მერე, ინგლისელებმაც და გერმანელებმაც, „დინამოს“ თამაშებზე სიარულს მოუხშირეს და ყველა სულგანაბული ელოდა, რა მოხდებოდა.

„როგორც იქნა, „ნიუკასლის“ ბოსები მიხვდნენ, რომ სალიას ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და ის გერმანელებს ცხვირწინ ააცალეს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი და სწორი შენაძენი, რაც „ნიუკასლს“ ბოლო დროს გაუკეთებია. არავინ ელოდება, რომ ახალგაზრდა შემტევი უკვე მომავალ ზაფხულს დაიწყებს პრემიერლიგაში თამაშს. „ნიუკასლი“ მას საფრანგეთში, ან ნიდერლანდებში გაანათხოვრებს, კარგ კლუბში, ისეთში, სადაც სათამაშო პრაქტიკა ექნება და ერთ წელიწადში ისინი უმაღლესი დონის, ახალგაზრდა ფორვარდს მიიღებენ“, – წერს ბრიტანული მედია.

უეფამ დაგვსაჯა და გაგვაფრთხილა

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ალბანეთთან შეხვედრაში გამოვლენილი დარღვევების გამო დააჯარიმა. კონკრეტულად კი 14 ათასი ევროს ჯარიმა სტადიონის გასასვლელების ბლოკირებისთვის დაგვეკისრა, 12 ათასით ქართველი გულშემატკივრების მიერ მეტოქე ფეხბურთელებისთვის ლაზერის მინათების გამო დავისაჯეთ, ხოლო 30 ათასი ევროს ჯარიმა პიროტექნიკის გამოყენების გამო გვერგო.

რაც ყველაზე საინტერესოა, ჯარიმასთან ერთად მივიღეთ გაფრთხილება, რომელიც ორი წლის განმავლობაში იმოქმედებს და თუ მომდევნო ორ წელიწადში, ანალოგიური რამ განმეორდება, უეფა სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნის დაკეტვას ბრძანებს და მასზე გულშემატკივრები არ დაიშვებიან. საუბარია, დაახლოებით, 2 ათას გულშემატკივარზე.

2021 წლის შემდეგ, ბასილაშვილმა პირველი ტურნირი მოიგო

ნიკოლოზ ბასილაშვილი სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში გამართული ჩელენჯერის ტურნირის გამარჯვებული გახდა. 32 წლის ქართველმა, 2021 წლის შემდეგ, პირველად მოახერხა ტურნირის მოგება, რაც მისასალმებელია.

ფინალურ შეხვედრაში, ჰაარდის საფარზე, ქართველმა იაპონელი მეტოქე, მსოფლიოს 78-ე ჩოგანი, ტარო დანიელი ორ სეტში – 7:5, 6:4 დაამარცხა. ამ გამარჯვებით, ნიკამ 100 სარეიტინგო ქულა და 18 230 დოლარი მოიგო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალი კვირის რეიტინგში, ბასილაშვილი წინ 96 საფეხურით წაიწევს და მსოფლიოს 215-ე ჩოგანი გახდება.

სამხრეთ კორეიდან, ნიკა იაპონიაში გადაინაცვლებს, სადაც ასევე ჩელენჯერის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და მისი მოგების შემთხვევაში, კიდევ 75 სარეიტინგო ქულა დაერიცხება.

თოფურიამ რონალდუს კრიტიკას ღირსეულად უპასუხა

ვერ გეტყვით, რა შუაშია და ვინ ეკითხებოდა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი, კრიშტიანუ რონალდუ თურმე UFC-ს მებრძოლებზე საუბრობს და რაღა თქმა უნდა, ქართველ ჩემპიონს, ილია თოფურიასაც ვერ ასცდა. მეტიც, პორტუგალიელი დარწმუნებული ყოფილა, რომ ჩვენებური ქამარს ვერ დაიცავდა და ჰოლოვეისთან დამარცხდებოდა.

„ილია ბევრს საუბრობს და საუკეთესო მებრძლებთან არ ჩხუბობს. მართალია, მან ვოლკანოვსკი დაამარცხა, მაგრამ ალექსი ამ ბრძლისთვის მზად არ იყო და ცუდ ფორმაში შეხვდა. აი, თუ თოფურია ჰოლოვეის დაამარცხებს, ჩემს პატივისცემას დაიმსახურებს, თუმცა ის ამას ვერ მოახერხებს“, – განაცხადა რონალდუმ.

მოგეხსენებათ, ილიამ ჰოლოვეი კარიერაში პირველად დაანოკაუტა ანუ მოუგო ისე, როგორც მისთვის მანამდე არავის მოეგო და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა რონალდუს.

„არ ველოდი, რომ შენნაირი ადამიანი, ამპარტავნებასა და თავდაჯერებულობას ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდა. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ კარიერის დარჩენილ ეტაპზე. ღმერთმა დალოცოს შენი ოჯახი“, – თქვა ილიამ რონალდუს განცხადების პასუხად.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ამორიმს ჩააბარეს

მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ერიკ ტენ ჰააგმა ჩაიბარა, გულშემატკივრები ელოდნენ, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი იპოვიდა იმ შემადგენლობას, რომლითაც „წითელი ეშმაკები“ ძველ დიდებას დაიბრუნებდნენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლასთან ერთად, ჩემპიონთა ლიგასაც დაუბრუნდებოდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ტენ ჰააგის გაწვრთნილმა გუნდმა ვერაფერი შეძლო და ლოგიკურიც იყო, რომ გასული და მიმდინარე სეზონის სრულად ჩაგდების შემდეგ, ჰოლანდიელს კარისკენ მიუთითეს. არსებობდა ვარაუდი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ რუუდ ვან ნისტელროი ჩაიბაარებდა, ისევ ჰოლანდიელი, ამავე კლუბის ლეგენდარული ფეხბურთელი, მაგრმა ნურას უკაცრავად – დირექტორატმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

მოკლედ, „მანჩესტერის“ თავკაცად რუბენ ამორიმი დაინიშნა. 39 წლის პორტუგალიელი ინგლისელებმა „სპორტინგს“ წაართვეს. ჰო, სწორედ რომ წაართვეს, რადგან ამ კლუბში ამორიმს საოცარი შედეგი ჰქონდა – საწყის 10 ტურში, 10 მოგება, 35 გატანილი და მხოლოდ 3 მიღებული ბურთი. კომპენსაციის სახით, „სპორტინგი“ 11 მილინ ევროს მიიღებს და შეეცდება ახალი მწვრთნელი მოძებნოს, ხოლო თავად ამორიმის გასამრჯელი 8 მილიონი ევრო იქნება. პორტუგალიელთან კონტრაქტი 2027 წლის ზაფხულამდე გაფორმდა და როგორც ამბობენ, მას კლუბის ხელმძღვანელობა ტრანსფერებისთვის სოლიდურ თანხებს გამოუყოფს.

ეკუთვნოდა თუ არა როდრის „ოქროს ბურთი“?

„ოქროს ბურთის“ წლევანდელი გამარჯვებული ესპანელი ნახევარმცველი როდრი გახდა. დაჯილდოვება სკანდალს ვერ ასცდა – ყველას ეგონა, რომ აღნიშნულ ჯილდოს „რეალის“ შემტევი ვინისიუსი მოიგებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – ყველაფერი სხვაგვარად გადაწყდა. არადა, ვინის დაგეგმილი ჰქონდა ზეიმი, პარიზში რამდენიმე ნომერი დაჯავშნა, იქ წასვლას მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად აპირებდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი გააუქმა და „რეალის“ მთელმა შემადგენლობამ ცერემონიალს ბოიკოტი გამოუცხადა. 2023-24 წლების სეზონში, ვინისიუსმა „რეალთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. რაც შეეხება როდრის მიღწევებს – „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად მოიგო პრემიერლიგა, ჩაატარა 34 შეხვედრა, გაიტანა 8 გოლი და შეასრულა 9 შედეგიანი გადაცემა, „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად მოიგო უეფას სუპეერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ესპანეთის ნაკრებთან ერთად მოიგო ევროპის ჩემპიონატი და „ფურია როხას“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

როდრი „მანჩესტერ სიტის“ პირველი ფეხბურთელია, რომელმაც „ოქროს ბურთის“ მოგება მოახერხა. ის მესამე ესპანელი ფეხბურთელია, რომელმაც ამ ჯილდოს მოგება შეძლო. მანამდე ეს ალფრედო დი სტეფოანომ (1957, 1959) და ლუის სუარესმა (1960) შეძლეს. 2015 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ „ოქროს ბურთი“ მოიგო 30 წელზე ნაკლები ასაკის ფეხბურთელმა – როდრი 28 წლისაა. და ერთიც – როდრი პირველი ფეხბურთელია პრემიერლიგიდან, რომელმაც ეს ჯილდო 2008 წლის შემდეგ მოიგო – 2008 წელს, ეს კრიშტიანუ რონალდუმ „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში მოახერხა.

ჩემი წარმომავლობა

ერევაზ ინანიშვილი

ჩვენი ძველი სახლი ივრის ხეობას გადაჰყურებს. წინ პატარა ბაღი გვაქვს, ხეხილნარი, მერე ფერდობია, ფერდობის ძირში წისქვილის არხი გადის, არხის იქით ჭალის ვენახებია, მერე – თვითონ ჭალა, მერე – რიყე და რიყეში – ცისფერი ყაჭივით წაღებული იორი. ფერდობში ახლა კომშები, ქლიავები, ალუბლები და პატარა კაკლები დგას, ადრე კი, ჩემს ბავშვობაში, თელები, მუხები, ხეშავები და ბებერი წნორები იდგა. წნორები არხის ნაპირას იყო გაყოლიებული, იმათი ტოტები მეორე ნაპირზე გადადიოდა. არხი დიდი იყო, წმინდა წყლით გალიცლიცებული, წყალი ტანად კაცს საცვლის უბემდე სწვდებოდა.

ზაფხულობით, ცხელ დღეებში, ბანაობდნენ არა მარტო ბავშვები, დიდებიც – კაცებიც და ქალებიც. ქალები – საღამო ხანზე, შებინდებულში, თანაც ტანსაცმლიანები, ხმაურით, წყლის დგაფუნით და შეკივლებებით. ბანაობის შემდეგ შემცოდეებივით სახემორიდებულნი გარბოდნენ თავთავიანთი სახლებისაკენ. წნორების ფესვებში ცხოვრობდნენ წყლის ვირთაგვები, შავად მოლივლივენი, ბრჭყვიალა დაცეცებულთვალებიანები.

რამდენჯერმე მინახავს წავიც – დიდი თეთრი თევზით პირში. ახლაც სიამოვნების ჟრუანტელს მგვრის არხის დაჩრდილული ნაპირებისა და ფეხისგულებზე სილიანი ფსკერის შეხების გახსენება. შემოდგომაზე, ყვითელ ოქტომბერში, ამოიტანდა ბებია ვედროებით არხის წყალს და მეტყოდა, – უკვე თოფოლი მოდის, თევზი ზღვისკენ დაიძრა, ამაღამ კოკოზა ჩაუგეო.

მე პატარა, გამხდარ, დიდთავა ბიჭს – სიხარულის ჩოჩქოლი შემიდგებოდა. მზის ჩასვლისას დერეფნის ბუხარში დანთებულ ცეცხლზე გავახურებდი ნალისოდენა ხმელ პურს. ჩავიტანდი კოკოზას არხთან, ჩავაწყობდი შიგ, სიმძიმისათვის – ქვებს, დავუგმანავდი ბალახის ბღუჯით ბოლოს, გავუხლართავდი წნელსაც, გახუხულ პურს კოკოზის საძრომში ხელშეყოფილი ჩამოვკიდებდი ჩანგალივით დაკიდებულ მავთულზე, კარგად ჩავიდოდა მზე, ერთს ვიტყოდი, – ღმერთო და ბედო! – კოკოზას ფრთხილად ჩავუშვებდი წნორის ფესვებთან, დამდორებულ წყალში (პირთავქვე, მცურავი რომ არ შესულიყო შიგ) და ორი წნელით მივაბამდი ფესვებზე.

სანამ ავდგებოდი, ერთხელაც ვიტყოდი, – ღმერთო და ბედო! – გადმოვიდოდი ცოტა უკან, ამოვეფარებოდი ბუჩქს და ვიყავი იქ სულგანაბული შებინდებამდე, – კოკოზას ვყარაულობდი, ვინმეს რომ არ ამოეღო, – შებინდდებოდა და პატარა, ბავშვურ შიშზე გამარჯვებული, აღმართზე ამოქაქანებული ამოვიდოდი შინ. ღმერთო, თან რა საამაყო იყო ის შიშიც! მოდიოდა, მოლივლივებდა ერთი შეხედვით მორჩილი, თვინიერი წყალი. ციმციმით მოჰქონდა ყვითელი ფოთლები და პატარ-პატარა თეთრი ბუშტები, მაგრამ იმ ბუშტებიდან ფსკერამდე წყალი სავსე იყო იდუმალი მოძრაობებით, – ჩემკენ შემობრუნებულნი ჩერდებოდნენ მდუმარე, დაფიქრებული თევზები, ჩალის გრძელ ღეროებს ქვემოთ ეწეოდნენ ჩრდილებივით დაგრძელებული რაღაც ტანრბილი არსებები (სინამდვილეში ხავსები), ჭრაჭუნობდა, თითქოს პირის გახსნას ლამობდა მიწა, ბუჩქნარებში კი ჩემსავით გატრუნულები იდგნენ თავგლეჯელები...

ადრე დავწვებოდი, მაგრამ გვიანობამდე ვერ დავიძინებდი, ლოგინში უფრო მაკრთობდა იმ ჩაბინდული წყლისა და მისი ნაპირების წარმოდგენა. თანაც იყო სიხარულის შუქიც. ამ შუქში ვეწეოდი კოკოზას და გაჰქონდათ გულგასახარი ფათქაფუთქი თევზებს.

როდის-როდის ჩამეძინებოდა და თითქოს სულ მალე მხარზე ხელს დამადებდა ბებიაც, – ადექი, გათენდა, ამოიღე ის შენი კოკოზაო.

მართლაც გათენებული იყო ხოლმე. წამოვხტებოდი, ფათიფუთით ჩავიცვამდი, ჩავირბენდი თრთვილითა და მკვრივი ცივი ჰაერით გამოვსებულ ფერდობს, ჩავიჩოქებდი წნორის ფესვებთან, კიდევ ერთხელ ვიტყოდი, – ღმერთო და ბედო! – ხელებაკანკალებული ავხსნიდი წნელებს, ამოვწევდი, პირს ამოვუჩენდი კოკოზას და თუ ფართხალი და დგაფუნი შემომესმებოდა, გადმოვვარდებოდი უკან, გადმოვიყოლებდი კოკოზასაც – სწრაფად გამოვაცილებდი წყალს.

ულამაზესი სურათი ბავშვთათვის – ქვებზე მოხტუნავე ფრთებგაშლილი თევზები! იყო შემთხვევები, რომ ჩემი წყრთის სიგრძე ჭანჭრები და მურწები დამიჭერია, ზოგჯერ ოთხი-ხუთი ერთად. არა მგონია, რომელიმე სარდალს ეამაყოს ბრძოლის მოგებით ისე, როგორც მე მეამაყებოდა იმ ოთხი-ხუთი თევზის შინ მიტანა.

სუნთქვაშეკრული, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული დავუდგამდი ბებიას კოკოზას წინ. ბებია ჩაიხედავდა შიგ, რაღაც უბრალოდ, კეთილად გაეღიმებოდა, – ეს ღიმილი მერჩივნა ყოველგვარ შექებას, – ამოიყვანე და გამოწელეო, – მეტყოდა და თვითონ თავის საქმეს მიუბრუნდებოდა, მთლად შავად შემოსილი, კვამლივით უხმაუროდ მოძრავი, ტრიალებდა ცეცხლთან, შედიოდა მარანში, გამოდიოდა, გამოჰქონდა ან შეჰქონდა სხვადასხვა რაღაცები, ტუჩების ცმაცუნის, ხმელი თითების ერთმანეთზე მიდებით და მერე გაქნევით აპკურებდა ცივ წყალს ცეცხლიდან ის-ისაა გადმოდგმულ მოხარშულ თევზს და მეჩვენებოდა, რომ ბებია გრძნეული ქალი იყო, კეთილი გრძნეული ძალისა, – ის განაგებდა ყველაფერს (ჩვენს ოჯახში კაცები აღარ იყვნენ), განაგებდა ცეცხლის პარპარს, ხეებიდან ფოთლების ჩამოცვენას, ამინდის ცვალებადობას, ბალახების ამოსვლას...

დაიჭექებდა, ჩამოტყდებოდა ციდან მეხი, მე აკანკალებული მივეკვრებოდი ბებიას, ის მეტყოდა, – ნუ გეშინია, შენ ოთხივ კუთხით ჯვარი გწერია, – და აღარ მეშინოდა.

ერთხელ, ჭალის ვენახში მიმავალნი, ის წინ მიდიოდა, მე უკან, – უცებ შეჩერდა და, თითქოს ურჩ პატარა ბავშვს უწყრებაო, დაიძახა:

– ადექი, წადი აქედან! რას დაწოლილხარ ზედ შუა ბილიკზე! მივუახლოვდი და დავინახე, რომ მძიმედ, თითქმის ნებივრად შეითრია ვეება რუხმა გველმა მაღალ ბალახებში კუდი...

მე იმ კეთილი გრძნეული ქალის საგანმგებლოდან ვარ. მისი ნებით ათრთოლებული ფოთლებიდან და ბალახებიდან მოვედი თქვენთან. უმჯობესია, ხელი არ მახლოთ და არ გამისინჯოთ უბე.

ელექტრონული „ცხვირი“ პროდუქტებს შეამოწმებს

სწავლულებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელსაც 96.7%-იანი სიზუსტით შეუძლია ამოიცნოს გაფუჭებული ხილი, ან დაავადებული მცენარე. ამასთან, ეს ელექტრონული „ცხვირი“ მარტივი კონსტრუქციისაა: ის აღჭურვილია მხოლოდ ერთი ანტენით. მისი მუშაობა რეალურ პირობებში რომ შეემოწმებინათ, სწავლულებმა სიახლე სუპერმარკეტში გამოსცადეს, სადაც მარწყვი, ყურძენი და ღორის ხორცი შეიძინეს, ამავე მოწყობილობით გამოავლინეს ვაშლზე მექანიკური დაზიანებებიც. ცდების შედეგებით აღმოჩნდა, რომ მოწყობილობა მაღალი სიზუსტით მუშაობს, რაც პერსპექტივაში შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას შემდეგი თაობის კომპაქტური და იაფფასიანი ელექტრონული „ცხვირი“. მისი გამოყენება შეგვეძლება არა მხოლოდ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, არამედ, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაშიც.

ძველ ლეიბს ქონება გადააყოლა

იტალიაში, ტრევიზოს პროვინციაში, დამლაგებელმა ქალმა, რომელიც მოხუც ქალბატონთან მუშაობდა, ნაგავში გადააგდო ძველი ლეიბი, რომელშიც 50 ათასი ევროს ოდენობის თანხა და სამკაულები ინახებოდა. ადგილობრივი პრესის ცნობით, ქალი რეგულარულად ალაგებდა მოხუცის სახლს, ერთ დღეს, საკუჭნაოში ძველი ლეიბი ნახა და გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა – ის მსხვილი ნარჩენების ჩაბარების პუნქტში წაიღო. დანაკარგი იმ დღესვე აღმოაჩინა ქალბატონის შვილმა, განგაში ატეხა და საქმეში კარაბინერები ჩართო. გადაგდებულ ლეიბს ეძებდნენ მოხალისეები სამოქალაქო თავდაცვიდან და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები. ერთი საათის შემდეგ, „ძვირფასი“ დანაკარგი ნაგვის დიდ კონტეინერში იპოვეს. ლეიბი, რომელიც სავსე იყო ფულით, ძვირფასეულობითა და საკრედიტო ბარათებითაც კი, მფლობელს უვნებელი დაუბრუნდა.

ისლანდიაში გზებს ათბობენ

ისლანდიაში, გეოთერმული წყლების მეშვეობით, გზებისა და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების გათბობა დაიწყეს. მიწისქვეშა ცხელი წყლები ასფალტის ქვეშ, მილებში ცირკულირებს და გზების მოყინვას უშლის ხელს. ყველაზე მკაცრი ზამთრის პირობებშიც კი ეს მეთოდი უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველჰყოფს. მეთოდი ეკოლოგიურად სუფთაც არის და თან ეკონომიურიც. ის აქტიურად გამოიყენება დედაქალაქ რეიკიავიკის ქუჩებსა და ტროტუარებზე. ევროპაში ასეთი გზების გაკეთება სკანდინავიაშიც – შვედებმა და ნორვეგიელებმა დაიწყეს.

ქალებს ერთმანეთთან ლაპარაკი აუკრძალეს

ავღანეთში, უფროსი ასაკის ქალებს ისეთი სიტუაციების შექმნა აუკრძალეს, როცა სხვა ქალებს „ესმით მათი ხმები“. ამის შესახებ ქვეყნის „სათნოების ხელშეწყობისა და მანკიერების პრევენციის“ მინისტრმა განაცხადა. ახალი აკრძალვის თანახმად, უფროსი ასაკის ქალებს არა მხოლოდ ერთმანეთთან საუბარი, არამედ, სახლის გარეთ ხმამაღლა ლოცვაც ეკრძალებათ. ისინი ვალდებულნი არიან, დაფარონ საკუთარი სახე, სხეული და ხმა. 2021 წლის აგვისტოდან, ავღანეთში, სუსტი სქესის წარმომადგენლების მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. მათ აკრძალული აქვთ გარეთ სიარული მამაკაცის თანხლების გარეშე და საჯარო ლაპარაკი, ასევე პარკებში სიარული, ცურვა და სპორტით გატაცებაც კი.

წითელ შუქზე გადასვლისას აღარ აჯარიმებენ

აშშ-ში, ნიუ იორკის ქალაქის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, აღარ აგებინონ პასუხი ადამიანებს ქუჩის არასწორ ადგილას გადაკვეთისთვის. ახლა ქვეითად მოსიარულეებს არ დააჯარიმებენ, მაგალითად, წითელ შუქზე გზის გადაკვეთისთვისაც. თუმცა, გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის, სამოქალაქო სარჩელების შესაძლებლობა ძალაში დარჩა. კანონის გაუქმების ერთ-ერთი ინიციატორი ამბობს, რომ ეს საგზაო პოლიციელებს დამატებით დროს გაუთავისუფლებს უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოსთვის. რეალურად, ნებისმიერი ნიუ იორკელი გზაზე მაინც ისე გადადის, როგორც მოესურვებაო. არასწორ ადგილას ქუჩის გადაკვეთა ნიუ იორკში, 1958 წელს აიკრძალა. ბოლო დროს, ამ დარღვევის გამო, ჯარიმა 250 დოლარამდე აღწევდა.

კოსმოსის ბილეთების გაყიდვა დაიწყეს

ჩინურმა კომპანიამ კომერციულ სუბორბიტალურ ფრენებზე ბილეთების გაყიდვა დაიწყო. ერთი ადამიანისთვის მისი ღირებულება 1.5 მილიონი იუანია (დაახლოებით, 211 ათასი დოლარი). კომპანია რეგულარულ ფრენებს 2027 წლიდან, ცდების სერიების ჩატარების შემდეგ გეგმავს. კოსმოსური ხომალდი 150 კილომეტრის სიმაღლეზე აიყვანს 6 მგზავრს, სადაც ისინი, უწონობის მდგომარეობაში, სულ 10 წუთს გაატარებენ. Deep Blue Aerospace გამოიყენებს მრავალჯერად რაკეტას სამგზავრო კაფსულით, რომლის სიგანე – 3.5 მეტრი, სიმაღლე – 4 მეტრია. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი ჩინური კომპანია, რომელიც ტურისტებს კოსმოსში გასეირნებას სთავაზობს. მათი კონკურენტი CAS Space, ასევე აპირებს, 2027 წლიდან დაიწყოს კოსმოსური ტურიზმი.

სუნამო – კარტოფილის სურნელით

ცნობილმა პოლონურმა ბრენდმა BOHOBOCO-მ, მსოფლიოში პირველი სუნამო წარადგინა, რომელსაც კარტოფილის სურნელი აქვს. მას „პოლონური კარტოფილი“ ჰქვია, რომლის კომპოზიციაში კარტოფილის სუნი ერწყმის ვარდის, ჰელიოტროპისა და მიხაკის სურნელებს. კარტოფილს პოლონეთში ღრმა კულტურული და ისტორიული ფესვები აქვს და ტრადიციულ კერძებში ძირითადი ინგრედიენტია. პარფიუმის ავტორის თქმით, კარტოფილის სურნელს ის 80-იან წლებში გადაჰყავს, როცა ყოველ კვირას, ბებია-ბაბუასთან ერთად, ბაზარში მიდიოდა. ახალი არომატი „გარიჟრაჟზე ცარიელი ბაზრის“ ატმოსფეროს ქმნის. 50-მილილიტრიანი ფლაკონის ღირებულება, დაახლოებით, 153 ევროს შეადგენს.

ჩემოდანი კოსმოსიდან ჩამოაგდეს

ბრიტანულმა კომპანიამ – Sent Into Space, ჩემოდანი გამოსცადა – სტრატოსფეროში გააგზავნა, 40 ათასი მეტრის სიმაღლეზე და მისი გამძლეობის შესამოწმებლად, იქიდან დედამიწაზე ჩამოაგდო. ჩემოდანმა გაუძლო კოსმოსში ექსტრემალურად დაბალ ტემპერატურას და მიწაზე დაუზიანებლად დაეშვა. დაახლოებით, ორკილოგრამიანი სამგზავრო ატრიბუტი ამერიკული ბრენდის, Samsonite-ის შექმნილია. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ამ აქციის მიზანი იყო, დაემტკიცებინათ, რომ ბრენდის ნაწარმი ნებისმიერ პირობებს უძლებს. ის იმედოვნებს, რომ ამ სერიის ჩემოდნები ექსტრემალ-ტურისტებს დააინტერესებს.

კიბოს დიაგნოსტიკა – წყლით

ესპანელმა სწავლულებმა, ბარსელონას უნივერსიტეტიდან, წყლის მოლეკულა გამოიყენეს, რათა ონკოლოგიური დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოევლინათ. მკვლევარებმა ამისთვის Tn-ანტიგენების ორი სახეობა გამოიყენეს. ისინი სიმსივნის 90%-ის შემთხვევაში ვლინდებიან და ავთვისებიანი წარმონაქმნების ინდიკატორებად ითვლებიან. წყალთან ურთიერთქმედებისას, ეს ანტიგენები სხვადასხვაგვარად მოიქცნენ. მათგან პირველი, რომელიც ტრეონინთან არის დაკავშირებული, წყლის მოლეკულის წყალობით, მკვრივ ფორმას იღებდა, მეორე სახეობა კი, რომელიც სერინს უკავშირდება, უფრო რბილი ხდებოდა. ამგვარად, ანტიგენების მოლეკულის ევოლუციის მიხედვით, შესაძლებელი ხდება ონკოლოგიური დაავადებების განვითარების ხარისხის დადგენა. სწავლულები კიბოს წინააღმდეგ ახალი თერაპიის შემუშავებას აპირებენ, რომლის დროსაც Tn-ანტიგენის სინთეტიკურ ანალოგს გამოიყენებენ.

ტეკილა ძვლებს ამაგრებს

ამერიკის ეროვნული ქიმიური საზოგადოების მეცნიერები გვირჩევენ, ძვლების გასამაგრებლად დავლიოთ... ტეკილა. საქმე ის არის, რომ სწავლულების მტკიცებით, სასმელი აგავასგან გამოყოფილ სასარგებლო ფერმენტებს შეიცავს. ამ ფერმენტების მეშვეობით, ორგანიზმში მოხვედრილი კალცი მაქსიმალურად ეფექტურად აითვისება. როგორც ექიმები ამბობენ, აგავას ფერმენტები სასარგებლოა სისუსტის დროს და სიმსუქნის საწინააღმდეგოდ, საკვების გადამუშავების პრობლემებისას და დიაბეტისას. გლუკოზას წყალობით, რომელსაც ის შეიცავს, ფერმენტები გემოთი სასიამოვნო და ტკბილია. ექსპერიმენტებისას, მას პერიოდულად აძლევდნენ მღრღნელებს, შედეგად კი მათი ძვლები 50% (!) უფრო მტკიცე გახდა. თუმცა, როგორც მედიკოსები აცხადებენ, ამ ალკოჰოლური სასმელის სამკურნალო პრეპარატად აღიარება, რასაკვირველია, არ შეიძლება. ტეკილა ალკოჰოლია და როგორც ყველა ალკოჰოლური სასმელი, ისიც მავნეა.

მარილის უნიკალური მაღაზია გახსნეს

ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში, უნიკალური, სპეციალიზებული მაღაზია – Guruguru Shakashaka გაიხსნა, რომელშიც 600 სახეობის სხვადასხვა მარილია წარმოდგენილი. დაწესებულებაში სხვადასხვა მარილის დეგუსტაციას ატარებენ, მათ შორის, ტკბილი და მჟავესი, რომელსაც თან შესანიშნავი კანტენო (ჟელე აგარ-აგარისგან) მოჰყვება, გემოს გამოსაკვეთად. კლიენტს სთავაზობენ, ასევე, შავი ლობიოს ჩაის – გემოს რეცეპტორების გასაწმენდად. დეგუსტაციის ღირებულება 2970 იენია (დაახლოებით, 20 დოლარი). მომხმარებელს მაღაზიის პერსონალი ეხმარება, აირჩიოს და შეურიოს 100 გრამი საკუთარი მარილი სახლში წასაღებად. კლიენტებს აფრთხილებენ, რომ მაღაზიაში აუცილებელია გააკონტროლონ მიღებული ნატრიუმის რაოდენობა.

დელი ყველაზე ბინძური ქალაქია

ნიუ-დელი მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებული ქალაქების რეიტინგს ჩაუდგა სათავეში მას შემდეგ, რაც „დივალის“ ცეცხლის ფესტივალზე, არაფრად ჩააგდეს აკრძალვა მაშხალებზე და ფოიერვერკების საწყობში ხანძარი გაჩნდა. ამ ინციდენტმა ჰაერის დაბინძურება საშიშ დონემდე ასწია. შვეიცარიული კომპანია IQ Air-ის მონაცემებით, ჰაერის ხარისხის ინდექსი 359-ია, რითაც დელი მსოფლიოს ყველაზე ბინძური ქალაქი გახდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინ აკრძალა მაშხალები „დივალის“ ფესტივალზე, მაგრამ ამ აკრძალვის გაკონტროლებას ვერ ახერხებს.

უდაბნო ტანსაცმლის სამარხად იქცა

ჩილეში მდებარე უდაბნო ატაკამა ტანსაცმლის სასაფლაოდ იქცა. იქ ყოველწლიურად, დაახლოებით, 40 ათასი ტონა ნივთი მიაქვთ, რაც ევროპის, აზიისა და აშშ-ს მაღაზიებში გაუყიდავი დარჩა. სანაგვედ ქცეული ადგილის ფართობი გასაოცარია. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ტანსაცმელი არ იხრწნება და ქიმიური ნივთიერებებით არის დამუშავებული, რის გამოც მას მუნიციპალურ სანაგვეებზე არ იღებენ. მსოფლიოში, გარემოს ერთ-ერთ ყველაზე მეტად დამაბინძურებლად მოდის ინდუსტრია მიიჩნევა. ის უფრო მეტ ენერგიას მოიხმარს, ვიდრე საავიაციო და საზღვაო სფერო, ერთად აღებული. გაერო-ს მონაცემებით, გარემოს ნახშირორჟანგით დაბინძურების 8-10%, სწორედ ამ ინდუსტრიაზე მოდის.

ცოლად მსუქანი გოგონები მოყავთ

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ცდილობენ, ათასგვარი ხერხით მოიშორონ ზედმეტი კილოგრამები, მაგრამ აფრიკელი, კერძოდ, მავრიტანელი გოგონები პირიქით იქცევიან. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად გასუქდნენ, რომ გათხოვების მეტი შანსი ჰქონდეთ. ეს ამ ქვეყნის უძველესი ტრადიციაა, რომელიც 2000 წლის შემდეგ, კვლავ აღორძინდა და დღემდე ბევრი მიმდევარი ჰყავს. როგორც აღმოჩნდა, ამ ქვეყანაში მამაკაცები, თურმე, ძირითადად, პუტკუნა ქალებზე ქორწინდებიან, რადგან ისინი უფრო სექსუალურებად და ჯანმრთელებად მიაჩნიათ. მავრიტანიაში, პრესტიჟისა და სიმდიდრის სიმბოლო მსუქანი ქალია, ამიტომ იქაური კაცები ცდილობენ, ერთმანეთის ჯიბრზე, რაც შეიძლება „მძიმეწონიანი“ მეორე ნახევრები იშოვონ. ამის გამო, მავრიტანელ გოგონებს ისღა დარჩენიათ, უფრო მეტად გასუქდნენ, რომ გაუთხოვრები არ დარჩნენ. წონაში მომატების პროცესი უკვე ბავშვობაში იწყება – ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი ბანაკია, სადაც მშობლებს გოგონები 8 წლის ასაკიდან მიჰყავთ. იქ სპეციალური კვებითა და პრეპარატებით ბავშვებს ასუქებენ. მავრიტანელი ქალები დღეში 15 ათას კალორიაზე მეტს იღებენ, ყველაზე „სასურველი“ საპატარძლო რომ გახდნენ და უფრო მეტი მთხოვნელი გამოუჩნდეთ.

სიმსივნეს სალმონელათი უმკურნალებენ?



ამერიკელმა სწავლულებმა, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტიდან, სალმონელას ბაქტერიით სიმსივნის მკურნალობის მეთოდი შეიმუშავეს. ბევრმა იცის, რომ სალმონელა პათოგენური ბაქტერიაა, რომელიც სალმონელოზს იწვევს. ამის მიუხედავად, მას უჯრედში შეღწევისა და მასში გამრავლების კარგი უნარი აქვს. საერთოდ, უჯრედში შეღწევა რთული პროცესია, რომელიც რამდენიმე სახის ცილის წარმოქმას მოითხოვს. სალმონელას სწორედ ამ თვისების გამოყენება სცადეს მკვლევარებმა კიბოს სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად. სწავლულებმა ცდები მღრღნელებზე ჩაატარეს. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ახალშექმნილი პრეპარატი ჯანსაღ ორგანოებში არ გროვდება. თაგვებში შენელდა სიმსივნეების ზრდა და მეტასტაზირებაც შეჩერდა.

ჩინური კომბოსტო სიმსივნეს ებრძვის

სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს და ჩინური კომბოსტოს უნიკალურ შემადგენლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ექსპერიმენტისას, სწავლულებმა 25 სახის კომბოსტოს ტესტირება მოახდინეს, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ჩინურ კომბოსტოში 14 ტიპის ანტიკანცეროგენული ნივთიერებებია. მათ შორის, glucosinolates – რთული ორგანული ნაერთები. კიბოს უჯრედებზე ამ ნაერთების ზემოქმედების შემდეგ, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ის სიმსივნურ წარმონაქმნს ანადგურებს. აღსანიშნავია, რომ ერთი გრამი ჩინური კომბოსტო 2.3 მილიგრამ ამ სასწაულმოქმედ ნაერთს შეიცავს. გარდა ამისა, კორეელმა მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ჩინურ კომბოსტოში გლუკობრასიცინების შემცველობა, რომელიც სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ მოქმედებს, რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ბროკოლიში.

ჯილდო ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის

სინგაპურის მცხოვრებლებს, თუკი ისინი სწორად იკვებებიან და ამავდროულად, სპორტსაც მისდევენ, იცავენ ძილის რეჟიმს, შეუძლიათ, 280 დოლარამდე იშოვონ. ეს ჩაწერილია შეთანხმებაში, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ კომპანია Apple-თან დადო. აქცია ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება და მასში მონაწილეობა შეეძლებათ აიფონებისა და Apple Watch-ის მფლობელებს. ისინი დარეგისტრირდებიან სპეციალურ პროგრამაში, რომელიც მათ ჯანმრთელ ჩვევებზე შეაგროვებს მონაცემებს. გარკვეული მაჩვენებლის მიღწევისას, პროგრამაში მონაწილეები ფულად ჯილდოს მიიღებენ.

დავლიოთ თუ არა ყავა?

ბრიტანელმა და უნგრელმა სწავლულებმა გამოიკვლიეს, რა გავლენას ახდენს ყავის მოხმარება გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეულ სიკვდილიანობაზე. მათ ექსპერიმენტში 468 629 ადამიანი მონაწილებდა, რომელთაც თავიდან არ აღენიშნებიდათ გულსისხლძარღვთა პათოლოგიები. ისინი სამ ჯგუფად დაჰყვეს: პირველი ჯგუფი საერთოდ არ იღებდა ყავას, მეორე ჯგუფი დღეში ნახევარი ფინჯნიდან 3 ფინჯნამდე მოიხმარდა ამ მატონიზირებელ სასმელს, მესამე ჯგუფი კი დღეში 3 ფინჯანზე მეტ ყავას მიირთმევდა. ექსპერიმენტის მონაწილეებს 11 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და აფიქსირებდნენ გარდაცვალების ფაქტებს, როგორც სხვა მიზეზით, ასევე გულსისხლძარღვთა დაავადებებით. აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფის წარმომადგენლებში სიკვდილის რისკი 12%-ით ნაკლები იყო მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ სვამდნენ ყავას. მკვლევარებმა ზუსტად არ იციან, როგორ ცვლის ყავა გულის სტრუქტურას, მაგრამ მიაჩნიათ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად მოიხმარენ ყავას, უფრო ჯანმრთელი გული აქვთ და უკეთესად უმუშავებთ, ვიდრე მათ, რომლებიც საერთოდ არ ეკარებიან ამ სასმელს.

სიყვარული გენეტიკურად განსხვავებულებს აკავშირებს

ბრაზილიელმა სწავლულებმა, პარანას უნივერსიტეტიდან, გაარკვიეს, რომ ადამიანები პარტნიორებად ირჩევენ მათ, რომელთა გენომის ორგანიზაციაც საკუთარისგან განსხვავებულია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეუღლეებს უფრო ხშირად აქვთ გენეტიკური განსხვავება დნმ-ის ნაწილში (რომელიც იმუნურ სისტემას აკონტროლებს), ვიდრე შემთხვევით პარტნიორებს. სპეციალისტებმა 90 ცოლ-ქმრისა და შემთხვევით ამორჩეული 152 საკონტროლო წყვილის გენეტიკური მონაცემები შეადარეს. აღმოჩნდა, რომ დაქორწინებულ ადამიანებს გენომში (ჰისტოშეთავსების მთავარ კომპლექსში, რომელიც გავლენას ახდენს შთამომავლობის ჯანმრთელობაზე) უფრო მეტი განსხვავება აქვთ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დიდი ალბათობით, ასე ავლენს თავს განსაკუთრებული ევოლუციური სტრატეგია, რომელიც ჯანმრთელი მემკვიდრეების გაჩენის გარანტიას იძლევა. თუმცა, მკვლევარები ვერ გარკვეულან, რა სიგნალები იზიდავს ერთმანეთთან გენეტიკურად განსხვავებულ ადამიანებს. შესაძლოა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხეულის სუნი და სახის სიმეტრია.

თეთრი ღვინო ქალებს აბედნიერებს

ესპანელმა სწავლულებმა, მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან, გარკვიეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ, როცა თეთრ ღვინოს მიირთმვენ. ჩატარებული კვლევებისას დადგინდა, რომ ხილისა და ყვავილოვანი თეთრი ღვინო აძლიერებს ისეთ ემოციებს, როგორიც სიხარული და ბედნიერებაა. წითელი ღვინის მოხმარება კი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს აგრესიას და დანაშაულის გრძნობას. ასეთი დასკვნების გაკეთება სპეციალისტებმა ექსპერიმენტის შემდეგ შეძლეს, რომელშიც 200-ზე მეტი ქალბატონი მონაწილეობდა. მათ ექვსი თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინო დააგემოვნეს და ამ სასმელებით მიღებული ემოციები აღწერეს. შედეგად, გაირკვა, რომ ბედნიერების შეგრძნებას ყველაზე მეტად თეთრი ღვინო იწვევდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.